



ლიბეჩანი

№ 61/31 იანვარი - 6 თებერვალი / 2011

- ინტერვიუ აშშ-ს ელჩთან საქართველოში ჯონ ბასთან **გვ. 22**
- ორი აზრი: დევნილების იძულებითი გასახლება **გვ. 06**
- საქართველო და ტუნისის რევოლუცია **გვ. 10**
- PIK - ახალი არხი ძველი პრობლემაზე **გვ. 28**
- აფეთქება ტყიბულის მაღაროში **გვ. 32**
- რატომ შეიძლება იყოს დედა „ვერტიფრენი“? **გვ. 35**
- ფხვით მოსიარულეთა უფლებები **გვ. 39**
- ძალი ნარსულიდან, რეჟისორი ანგყოდან **გვ. 45**
- მხოლოდ გზოს მანქანით **გვ. 48**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ინფლაციის ანატომია

გვ. 14-21



FM
სენტი
98.0





ანტისამთავრობო დემონსტრაციის დარბევა კაიროში, 25 იანვარი 2011

ფოტო აგზ. დეპუტი / REUTERS

ნომერი:

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
შეიძლება თუ არა დევნილების იძულებითი გასახლების თავიდან აცილება
ლია მუხაშვერია VS გია ნოდია
მსოფლიო
- 08 ნაღმი-სიურპრიზი
პოლიტიკა
- 10 გულგრილი უნდა იყოს თუ არა საქართველო ტუნისის რევოლუციის მიმართ
მთავარი თემა
- 14 ინფლაციის ანატომია
- 20 **თვალსაზრისი**

- ინფლაცია ინვესტიციების წინააღმდეგ
- 22 **ინტერვიუ**
„ლოკალური პრობლემები ყველაზე ეფექტურად ლოკალურად გვარდება“
ჯონ ბასი
მედია
- 28 ПИК - ახალი არხი ძველი პრობლემებით
ადამიანის უფლებები
- 30 დავიწყოთ ცხოვრება თავიდან. დუბლი 2
- 32 აფეთქება ტყიბულის მაღაროში
საზოგადოება
- 35 რატომ შეიძლება იყოს დედა „ვერტმფრენი“?
თვალსაზრისი

- 39 ფეხით მოსიარულეთა უფლებები
მარკ მალენი
- 41 ინფლაციის კონტროლი – მიზანი თუ საშუალება?
გიორგი ცხადაია
მედიაკრიტიკა
- 43 სიმულანტი [ლათ. simulans (simulantis)] - პირი, რომელიც სიმულაციას მიმართავს
კულტურა
- 45 ქალი წარსულიდან, რეჟისორი ანმყოფიდან
სპორტი
- 47 ქალები და წამყვანები
თვალსაზრისი
- 48 მხოლოდ ბებოს მანქანით ლაშა ბულაძე

გარეკანზე:
ინფლაციის ანატომია



ურუნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

გვესტავრებს თუ არა GOOGLE?

Google ინფორმაციის მიღების ის წყაროა, რომელიც ადამიანს უმუშავებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა „scanning“, „skimming“, საჭირო ინფორმაციის სწრაფად იდენტიფიკაცია – ეს ის უნარებია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჩააბარო უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო ტესტიც კი.

მაგი

google ისევე „აშტერებს“ როგორც მაგ. ბიბლიოთეკის კატალოგი. ინტერნეტი კი ისევე, როგორც ბიბლიოთეკა.

ს. ჯანაშია

არა, რას ამბობთ?! რომ არა googlemaps,googletranslate და google-scholar, დაკარგული ვიქნებოდი ამ სიტყვის პორდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობითაც. ყველას არ გვაქვს GPRS ტელეფონზე, არ ვფლობთ 5-ნ მეტნაკლებად გავრცელებულ უცხო ენას და ვერ ვიხდით lexisnexus-ის თუ Westlaw-ის სანერვო გადასახადებს.

სტუმარი

ღვინილების მოკრიბი ღვინა



ამ სტატისას სათაურთან კავშირი არ აქვს. და რატომ ეგონათ, რომ თბილი წყალი დახვდებოდათ აბაზანაში? ღამით არ შეამონმეს? თანაც წყლის გამაცხელებელს ჩართვა სჭირდება. ჩვენი ოჯახიც ასე გადაბარგდა, როცა უბრალოდ ბინა გამოცვალეთ. განსხვავება –

დევნა რომ გაამართლოს – სად არის?

კეტი

სამწუხაროა თუ ბინის გამოცვლასა და „იძულებით“ გადაადგილებას შორის სხვაობას ვერ ვხედავთ. ალბათ, ამას ითვლისწინებს „მდგრადი“ აზროვნება... წერილი თავიდან ბოლომდე ნაეკითხე ლიბერალის ბექედურ ნომერში და ძალიან მომეწონა. გმადლობთ.

სტუმარი

ფაქიზი ხელშეკრულება



მე ვფიქრობ, მოლაპარაკებები ამ თემაზე არ არის მართებული. ეკლესიების და მეჩეთების გაცვლა თანაფარდობის მიხედვით უკვე შეცდომაა. ტაძრების მოვლა-პატრონობა თურქეთის ტერიტორიაზე იუნესკოს ზენოლით უნდა მოხდეს და ქართულმა სათვისტომომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. როგორც არ უნდა აღდგეს, იმ ტერიტორიის მოვლა-შენარჩუნება მრევლის გარეშე შეუძლებელი იქნება. ერთი ბოძის გამოშლით შეიძლება ყველაფერი დაინგრეს. ქრისტიანული მრევლის დასახლებას კი იქ არავინ დაუშვებს. ორთოდოქსი მუსლიმური საზოგადოება ცხოვრობს რიზე ართვინის ტერიტორიაზე და შესაძლებელია ეს კონფლიქტების საფუძველიც გახდეს.

სტუმარი

თუ რომელიმე ამ ტაძართაგანს დაუბრუნდება მისი ფუნქცია, ეს იქნება

უდიდესი მონაპოვარი საქართველოსთვის. ეს იქნება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღდგენა. იქაურები თუ არა, ჩვენ ჩავალთ და ჩვენ დავესწრებით იქ ნირვალოცვას.

ნინო გოგუაძე

ნიკოლოზ, ძალიან კარგი საფუძველი არის შეთანხმების და პრინციპიც – სამართლიანი. ძალიან კარგი იქნება, თუ ამ მოლაპარაკებებს ბოლომდე მიიყვანთ.

ტომო

კრეზიდენტების გამოსვლა და განათლება

კარგი იქნება, თუ ასე დეტალურად გაარჩევთ ყველა იმ საკითხს ცალ-ცალკე, რასაც პრეზიდენტი შეეხო. მაგალითად, მისი კომენტარები ეკონომიკაზე, რუსეთზე. ძალიან საინტერესო იყო ასევე, როდესაც თქვა, თითქოს ერთ-ერთმა ტელევიზიის მფლობელმა მისი თანდასწრებით ჩამოწერა სასურველი ობიექტების სია, რომელიც შემდეგ უკვე პრეზიდენტმა დახია. ჟურნალისტები დასავლეთში, ყველაზე დიდ ყურადღებას ამ ფრაგმენტს მიაქცევდნენ.

სტუმარი

ძალიან საინტერესო მოსაზრებებია. მაგრამ ბატონო სიმონ, თქვენივე წერილში მთლიანად განსხვავებულზეა საუბარი. მსგავსება მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ტერმინების დასახელებებით გამოიხატება? მსგავსება დაგვანახეთ!

სოსო

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაჯა / კეკელია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საგაია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი / შპს რედაქციაში: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო ორბაქიძე, ნათია გულიაშვილი / კონსტრუქციონი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორადავა, მილო კორსო, ლექსო ჩქარეული, სიმონ ჯანაშია, თამარ ამხაშვილი, დიანა ჩაჩუა, ალექსანდრ ბურიჩაქო, ოლგა ალიონოვა, ნათია ახალაშვილი, რატი ამალოშვილი / რედაქციაში: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონდაძე / გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია / გამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge / სსსპ გამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეზობლები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

ჰიზიდენტების ბამოსვცა და ბანათიება

სიმონ ჯანაშიას ბლოგი

გუშინინ ჩენი პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლას ვუყურე. გუშინ კი – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლას კონგრესში. გამოსვლებს შორის მსგავსებაც ადვილი შესამჩნევი იყო და მკვეთრი კონტრასტიც.

ორივე პრეზიდენტმა საკუთარი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების საკითხებს დაუთმო. სააკაშვილს და ობამას მსგავსი ხედვა აქვთ. ორივე საუბრობს ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებაზე, მსოფლიოში მიმდინარე სწრაფ ეკონომიკურ ცვლილებებზე, კონკურენციაზე, სამუშაო ადგილებისთვის ადამიანების მომზადებაზე.

ორივესთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი შედეგების მიხედვით დაფასდეს. ობამა არ საუბრობს მასწავლებლების გმირობაზე. სამაგიეროდ, გვეუბნება რამდენი ახალი მასწავლებლის მომზადება არის საჭირო იმისთვის, რომ ამერიკამ მსოფლიოში ყველაზე განათლებული ახალგაზრდობა აღზარდოს. ის პირდაპირ მოუწოდებს ახალგაზრდობას, რომ გახდეს მასწავლებელი, ამით შეცვალოს რომელიმე ბავშვის ბედი და ემსახუროს საკუთარ ქვეყანას. სააკაშვილი საუბრობს იმაზე, თუ რამდენი იყო მასწავლებლის ხელფასი, რამდენი გახდა და რამდენი გახდება მომავალში. იძლევა პირობას, რომ სერტიფიცირებულებს შორის საუკეთესოები 1000 ლარს მიიღებენ.

ობამასთვის მნიშვნელოვანია, რომ განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ის საუბრობს ახალგაზრდობაზე, რომლებიც დროზე ადრე ტოვებენ სკოლას. აღნიშნავს, რომ შემდეგი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება უმაღლესი განათლება და ასახელებს კონკრეტულ თარიღს, როდესაც კოლეჯის ყველაზე მეტი სტუდენტი ეყოლება სხვა ქვეყ-



ნებთან შედარებით. სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანია მერიტოკრატია. ყველა, როგორ გაემგზავრა ერევანში „მარშუტკით“ გამოცდის ჩასაბარებლად, რომ ამერიკაში წასულიყო. სტუდენტებს უხსნის, რომ მერიტოკრატია ვინმე მელიტონთან არ არის დაკავშირებული, ხოლო ვანო მერაბიშვილი და კობა სუბელიანი სორბონის დამთავრების გარეშეც კარგად მუშაობენ და დაფასებულები არიან.

ობამა საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს განათლების როგორც ღირებულების დამკვიდრება. ნანობს, რომ ამერიკაში, კორეის მსგავსად, მასწავლებლებს ერის შემქნელებად არ მოიხსენიებენ. ის თვლის, რომ ამერიკელებმა ფეხბურთის ჩემპიონებთან ერთად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებაში გამარჯვებულების დაფასება უნდა დაიწყონ. სააკაშვილიც საუბრობს ოლიმპიადებზე. ისიც ამაყობს გამარჯვებულებით, რომლებმაც, მისთვის მოულოდნელად, სომხებს აჯობეს. ასევე არ ავიწყდება ოლიმპიადების არსებობის სიკეთის დასაბუთება იმით, რომ მის შვილს ძალიან მოსწონს ეს შეჯიბრი.

ობამა საუბრობს რეფორმის სტრა-

ტეგიაზე, რომელმაც უნდა განავითაროს სკოლები. საუბრობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობაზე. სააკაშვილი საუბრობს საკუთარ ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც, 5 წელიწადში 10 000 ინგლისურის მასწავლებელი უნდა ჩამოვიდეს საქართველოში. ობამას აღელვებს გლობალური გამოწვევები, სააკაშვილისთვის კი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ორგანიზების ფორმა, რომელიც მის ბავშვობაში მიღებულ გამოცდილებას არ ემთხვევა.

ობამას ტაშს დემოკრატები და რესპუბლიკელები უკრავენ. მისი ყოფილი კონკურენტი ჯონ მაკკეინიც კი ფეხზე დგას მაშინ, როდესაც დარბაზში ისმის: „იმას, თუ როგორ შევძლებთ თანამშრომლობის ახალ ერაში შესვლას განაპირობებს არა ის, რამდენად შეგვიძლია ერთ დარბაზში ვისხედეთ დღეს, არამედ ის, თუ რამდენად შეგვიძლია ერთად ვიმუშაოთ ხვალ“. სააკაშვილი კი საუბრობს „ვაირეფორმატორებზე“, „ჭკუის კოლოფებზე“, რომლებსაც თურმე არც მასწავლებლობის გამოცდილება ჰქონდათ, თავადაც ცუდად სწავლობდნენ და შემდეგ საკუთარ მასწავლებლებზე ცდილობდნენ შურისძიებას. ■



ფოტო აბრ. ლაიზი / REUTERS

ანტისამთავრობო დემონსტრაციის დარბევა კაიროში, 25 იანვარი 2011

ახეულობა ებვიჯსეში

ეგვიპტის რამდენიმე დიდ ქალაქში ათასობით დემონსტრანტსა და პოლიციას შორის შეტაკებები დაიწყო. ფრანგული გამოცემები იუწყებიან, რომ ეგვიპტის პოლიციამ აქციებზე ორი ფრანგი ჟურნალისტი დააკავა, რომელთა ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია.

ეგვიპტის პოლიციამ ასევე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ელ ბარადეი დააკავა. ამის შესახებ სააგენტო „ალ-ჯაზირა“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, ელ ბარადეი კაიროში მიმდინარე ანტისახელისუფლებო დემონსტრაციებისთვის შეერთებას აპირებდა.

ეგვიპტეში პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო გამოსვლებში ათასობით დემონსტრანტი მონაწილეობდა. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ ინფლაციის, უმუშევრობის და პრეზიდენტ მუბარაქის ავტორიტარული მმართველობის გამო. საპროტესტო აქციები სამშაბათს დაიწყო. მას შემდეგ შვიდი ადამიანი დაღუპული.

თვითმხილველების თქმით, საპროტესტო აქციის წინააღმდეგ კაიროში პოლიციამ რეზინის ტყვიები, ცრემლმდენი გაზი და

წყლის ჭავლი გამოიყენა, დემონსტრანტები კი ქვებს ისროდნენ. შეტაკებები მოხდა იმ მეჩეთთანაც, რომელმაც ოპოზიციის წევრი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი მოჰამედ ალ ბარადეი იყო მისული პარასკევის ლოცვაზე დასასწრებად. ეგვიპტის ხელისუფლებამ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში კავშირის განწყვეტა უბრძანა. კომპანია „Vodafone“-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტის კანონმდებლობის მიხედვით, ხელისუფლებას აქვს მსგავსი ბრძანების გაცემის უფლება და კომპანიაც ვალდებულია, დაემორჩილოს. მობილურ კავშირთან ერთად ეგვიპტეში გათიშულია ინტერნეტიც.

ეგვიპტის არეულობებს წინ ტუნისის რევოლუცია უძღოდა, რომელმაც მეზობელ ქვეყნებში მომიტინგეები ნაახალისა და დიქტატორისადმი შიში გადააღახვინა. ეგვიპტეს შუა აღმოსავლეთში „მიმეწონიან დიპლომატსაც“ უწოდებენ, ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების და ამერიკასთან ახლო თანამშრომლობის გამო.

ახალი სანქსიები ბელარუსს

ამერიკა ბელარუსის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს. გადაწყვეტილება შეერთებულმა შტატებმა დეკემბერში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ოპოზიციის აქტივისტების დევნის გამო მიიღო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ფილიპ გორდონის თქმით, ამერიკულ კომპანიებს და მოქალაქეებს ეკრძალებათ საქმე დაიჭირონ ბელარუს „ბელნეფტეტან“. ამერიკა ასევე გაზრდის იმ პირების სიას, რომლებსაც ამერიკაში შესვლა აეკრძალებათ.

TRAVEL CHANNEL-ის ფილმი სანქსიონის შესახებ

საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ TRAVEL CHANNEL-ის მიერ გადაღებული ფილმის პრემიერა ლონდონში მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს გაიმართება. საქართველოში ფილმის ჩვენება მისი მოხდება, რის შემდეგაც იგი 2-3 წლის ვადით TRAVEL CHANNEL-ის პროგრამაში ჩაიდება და მსოფლიოს 150 ქვეყანაში იქნება ნაჩვენები. 50-წუთიანი ფილმი მასურებელს ქართულ კულტურაზე და ტრადიციებზე მოუყვება.

პრეზიდენტის განცხადებებმა აფხაზეთის და ოსეთის ციხეები შეაშფოთა



25 იანვარს ტელევიზორში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ „ომი არ დამთავრებულა“, ცხინვალსა და სოხუმში ლიდერების შეშფოთება გამოიწვია.

„აფსნიპრესის“ ცნობით, აფხაზეთის საგარეო უწყებამ სპეციალური განცხადება გაავრცელა: „ასეთი ტიპის განცხადებები წარმოადგენს ღია მონღოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი სა-

მხედრო აგრესიის მზადებისკენ“, – ნათქვამია განცხადებაში.

სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებს მხოლოდ მას შემდეგ ირწმუნებენ, რაც ისინი იურიდიულად სავალდებულო ხასიათს მიიღებს.

„მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების“ თეზისის დაყენებით გამეორება, მისი მუქარები და შურაცხმყოფელი ტონი არსებითად გამოორიქხავს მასთან პოლიტიკური დიალოგის აღდგენის შესაძლებლობას“, – ნათქვამია ცხინვალის განცხადებაში.

საფხანბათის მოქალაქის მკვლელობაში ავსტრიელი დახმავდა

შსს ცნობით, საფრანგეთის მოქალაქის, სტეფან კოპის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია. არასრულწლოვანი დაკავებული დანაშაულს აღიარებს და ამბობს, რომ კოპი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საკუთარ ნომერში, დანის გამოყენებით მრავლობითი ჭრილობით

მოკლა. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტიდან“ ამოღებულია დანაშაულის იარაღი და მოკლულის ოთახიდან მოპარული ნივთები. სტეფან კოპი იმ ფრანგულ კომპანიაში მუშაობდა, რომელიც თბილისის მერიასთან ერთად სატრანსპორტო მარშრუტების რეგულაციების პროექტს ახორციელებს.

საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმანი უყოლება

ქვეყნის საგადასახადო ომბუდსმენის კადრდატურაზე – გიორგი პერტაიაზე – პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე შეთანხმდნენ.

„ჩვენი მთავარი მიზანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთიანი მუშაობა, ამ მუშაობაში კი მთავარია, ბიზნეს-ომბუდსმენმა თავისი მოვალეობა შესრულოს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. საგადასახადო ომბუდსმენის დანიშვნის

აუცილებლობა „საგადასახადო კოდექსით“ განისაზღვრა, რომელიც პირველ იანვარს შევიდა ძალაში.

კოდექსის თანახმად, საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს გადასახადის გადაამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.



სიტყვები



„სააკაშვილის გუშინდელი გამოსვლა იყო საქმლის მომწიფებელი არსების გაბაასება საკუთარ მხარდამჭერებთან“.

შალვა ნათელაშვილი
25 იანვრის პრეზიდენტის ტელეხიდეზე საუბრისას

„ჩინეთის მოსახლეობამ ჭამა დაიწყო. ჩინეთში 1,5 მილიარდზე მეტი ადამიანია. მათ უნდათ კვება. ეს პირდაპირ მოქმედებს ფასებზე. ადრე მთელი ჩინეთი დადიოდა ველოსიპედით. ახლა მათ დაიწყეს მანქანების ყიდვა. ესე იგი ასხამენ ბენზინს. ამუშავდა უზარმაზარი სანარმოები, ესე იგი მათ სჭირდებათ ენერგორესურსები. შედეგად, ძვირდება სურსათი და სანავი“.

მიხეილ სააკაშვილი
ინფლაციის მიზეზებზე საუბრისას

ჩისხვები

21%-ით გაიზარდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2010 წელს.

155 ობიექტს შეამოწმებს გარემოს დაცვის ინსპექცია.

2 პირი დააკავეს ტყიბულის მალაროში აფეთქების გამო.

5 მლნ ევროს გამოყოფს ევროკავშირი ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის.



კი

ლია მუსაშვარია

ადვოკატი, ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის თავმჯდომარე

იძულებით განსახლებას თავიდან ავიცილებდით, თუკი მთავრობა მასზე დაკისრებულ კანონით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას ზედმინევენით შეასრულებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებულ პროცედურებს დაიცავდა.

შეთანხმებაში წერია, რომ დევნილები გამოსახლებამდე ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილო, შემდეგ შესთავაზო საცხოვრებლის მინიმუმ ორი ალტერნატივა. სანამ გააფრთხილებ და გამოსახლებას შეატყობინებ, ვისაც ეკუთვნის, უნდა გადაუხადო მატერიალური კომპენსაცია.

თუკი ეს წესები ზედმინევენით არ სრულდება, ადამიანის ნაცვლად წყვეტ სად უნდა გადასახლდეს და მოსაფიქრებლად საკმარის დროსაც არ აძლევ, იგი შეურაცხყოფილი რჩება. თანაც ჩვენ არ ვსაუბრობთ ჩვეულებრივ ადამიანებზე, ეს ხალხი ომგამოვლილი მოქალაქეები არიან, ბევრ მათგანს, განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილებს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციაც კი არ გაუვლიათ. ამიტომ განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ.

განსახლება არ უნდა მომხდარიყო იანვრის სუსხიან ამინდში. მარტის ბოლოსთვის რომ დაეგემათ, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. უნდა შეესწავლათ ოჯახების ინდივიდუალური მდგომარეობა. ზოგი მათგანი მწოლიარე ავადმყოფია, ზოგს პატარა შვილები ჰყავს, ზოგი გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს. არ იყო აუცილებელი ასეთი მასობრივი ფორმით განსახლება, ზოგისთვის უნდა მიეცათ საშუალება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოგვიანებით დაეტოვებინა თავშესაფარი. როცა ადამიანი ყურადღებას და თანაგრძნობას ხედავს, უფრო დამთმობი ხდება.

დევნილების ნაწილი ჩავიდა მათთვის შეთავაზებულ სოფლებში, გაარკვიეს იქ რა პირობები იყო და ბევრი უკან დაბრუნდა. თავშესაფარი არ გულისხმობს მხოლოდ თავზე ჭერს, გარემონტებულ კედლებს ან ახალ ონკანს. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მისაწვდომობაც, ინფრასტრუქტურა. ამ სოფლებში ადამიანებს არ აქვთ დასამუშავებელი მიწა, ქალაქში თვითდასაქმებით ირჩენენ თავს, სოფელში კი ამის საშუალება არ ექნებათ. ისინი არ ამბობენ, მაინცდამაინც თბილისი გვინდაო, მაგრამ იქ ვერ მიდიან, რადგან 28 ლარით იქ ცხოვრებას ვერ შეძლებენ.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებლობის გამო, დევნილებს გაუჩნდათ განცდა, რომ ისინი სახელმწიფოს არ სჭირდება.



შეიძლება თუ ახა და ბასახების თა

■ **იძულებით განსახლებას თავიდან ავიცილებდით, თუკი მთავრობა მასზე დაკისრებულ კანონით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას ზედმინევენით შეასრულებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებულ პროცედურებს დაიცავდა.**



იძულებით გამოსახლებული დევნილების დაპირისპირება პოლიციასთან თბილისი, 20 იანვარი 2011

ფოტო: შოლენა მხარაიანი

უპნიცაზის იძულებითი ვიძან ასიცაზა?

■ **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საზოგადოებას უნდა უთხრას – რას, რატომ და როგორ აკეთებს. პროცესის მონიტორინგში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა კარგია, მაგრამ სრულიად არასაკმარისი.**



არა
გია ნოდია
პოლიტოლოგი

დევნილების იძულებით განსახლებას თავიდან ვერ ავიცილებდით. ყოველ შემთხვევაში, ამის გაუკეთებლობა არასწორი იქნებოდა.

როგორც ჩანს, დევნილების ნაწილმა ჩათვალა, რომ მათ შეეძლოთ საპრივატიზაციო თუ პრივატიზებული შენობები დაეკავებინათ და, არასასურველი პოლიტიკური რეზონანსის გამო, ხელისუფლება ვერ გაბედავდა მათ გასახლებას. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება საზოგადოებაში წაახალისებდა შეხედულებას, რომ თუკი გაჭირვებული ადამიანი ხარ და პოლიტიკურად მომგებიანი სტატუსი გაქვს, შეგიძლია ძალით დაიკავო სხვისი საკუთრება და ეს „შეგრჩეს“. მთავრობა კი ვალდებულია, დაიცვას საკუთრება, პოლიტიკურად მომგებიანია ეს თუ არა.

ეს არ ნიშნავს, რომ დევნილების მიმართ ადამიანური თანაგრძნობა არ გაგიჩნდეს, ან რომ გასახლების პროცესის ცალკეული ასპექტები არ გააკრიტიკო. ჩემი აზრით, პირველ რიგში, კრიტიკას ვერ უძლებს ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა. შემიძლია, ვენდო სახალხო დამცველს, რომ დევნილები დროულად ინფორმირებულნი არ იყვნენ – თუმცა ეს ზუსტად არ ვიცი. მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მთლიანად საზოგადოებასაც უნდა უთხრას – რას, რატომ და როგორ აკეთებს. პროცესის მონიტორინგში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა კარგია, მაგრამ სრულიად არასაკმარისი.

აგრეთვე, შეიძლება, საფუძვლიანი იყოს შენიშვნები, რომ დევნილებს სათანადო პირობებს არ უქმნიან იქ, სადაც გადასვლას სთავაზობენ. ამაში კომპეტენტური არა ვარ. მაგრამ ხანდახან ასეთი კრიტიკა მაღიზიანებს. „ლიბერალი“ აღშფოთებით წერდა, რომ დევნილთა შვილებს სკოლაში ორი კილომეტრი ფეხით მოუწევთ სიარული. ცუდია, კი. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სოფლებში ეს ჩვეულებრივი ამბავია. როცა დევნილების პოლიტიკას ვაფასებთ, უნდა გავითვალისწინოთ, სად ვცხოვრობთ და რის გაკეთება შეგიძლია, როგორც ქვეყანას. რაკი რამდენიმე ასეული ოჯახი მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ საქართველოში ყველაზე მეტად უჭირთ. შეიძლება, სხვებს, დევნილებს თუ არადევნილებს, უფრო უჭირთ. უსამართლოა, მაინცდამაინც ამ ხალხისთვის მოვთხოვოთ ხელისუფლებას კომფორტის უმაღლესი სტანდარტების შექმნა. ■

ტერაქტი მოსკოვში

ნაღმ-სიუხპიოზი

მოსკოვის „დომოდედოვოს“ აეროპორტში მომხდარ აფეთქებას რამდენიმე ვერსია და მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი აქვს.

ოლგა ალიონოვა

მოხდა ისე, რომ ისტორიაში პირველად რუსეთში აეროპორტი ააფეთქეს. რუსეთში ხომ ყველაფერი პირველად ხდება. 2002 წელს „ნორდ ოსტის“ თეატრალურ წარმოდგენაზე მაყურებლები პირველად დაატყვევეს. 2004-ში ბესლანში სკოლის მოსწავლეები პირველი ზარის დღეს პირველად აიყვანეს მძევლად. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში ადმინისტრაციული და ძალოვანი უწყებების ობიექტებზე თავდასხმები, აფეთქებები მოსკოვის მეტროშიც პირველად მოხდა.

რუსეთში ზოგს დღემდე სჯერა, რომ ტერაქტები შემთხვევითობაა და მალე ყველაფერი თავისით გაივლის. ხალხი ბოლომდე ვერ აცნობიერებს, რომ ყველა ეს ტერაქტი კანონზომიერია და ჩვენთვის ომისა და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შედეგია.

სწორედ ამ გაუცნობიერებლობის გამო რუსეთის აეროპორტები, სკოლები და თეატრები ასე დაუცველი. სწორედ ამიტომ, ასაფეთქებელი ნივთიერებით დაზუხმდულ შეიარაღებულ ბანდიტს თავისუფლად შეუძლია, შეუმჩნეველად მივიდეს საერთაშორისო აეროპორტში და 35 ადამიანი მოკლას. ტერაქტებით გათანგულმა რუსეთმა დღემდე ვერ ისწავლა ამ პრობლემასთან მეტ-ნაკლებად ეფექტური ბრძოლა კი. ხელისუფლების ეს მოუშზადებლობა იმდენად გულბრყვილო და თვალმისაცემია, რომ ძალაუბნებურად გიჩნდება ეჭვი – მართლა ყველაფერი ისეა, როგორც გვეუბნებიან? თუ ამ ტერაქტებს სხვა ახსნაც აქვს?

მოსკოვში, „დომოდედოვოს“ საერთაშორისო აეროპორტში თვითმკვლელმა-ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა 24 იანვარს, 16 საათსა და 32 წუთზე აა-

მუშავა. ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 35 ადამიანი, დაჭრილია ასზე მეტი. იმავე დღეს განცხადდა ვერსია, რომ თვითმკვლელი-ტერორისტი კავკასიური გარეგნობის მამაკაცი იყო. ძირითადი ვერსიის პარალელურად, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიაში მიყვავართ, რუსული ბლოგოსფერო კიდევ რამდენიმე პოპულარულ სცენარს განიხილავს. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ნაციონალური მედია დიდი ხანია კრემლის ხელში პროპაგანდის იარაღად იქცა, ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხებზე მსჯელობა სწორედ სოციალურ ქსელებში მიმდინარეობს.

პირველი ვერსია ბიზნეს ინტერესებს უკავშირდება. არსებობს მოსაზრება, რომ საჰაერო გადაზიდვებში ყველაზე წარმატებული პროექტი და პუტინის „შერემეტევოს“ მთავარი კონკურენტი – „დომოდედოვოს“ აეროპორტი კრემლის სტრუქტურებთან დაახლოებულ ჯგუფებს დიდი ხანია აინტერესებთ. ტრაგედიიდან რამდენიმე საათში პრეზიდენტმა მედვედევმა მთავარ დამნაშავედ „დომოდედოვოს“ აეროპორტის ხელმძღვანელობა დაასახელა, რაც სწორედ ამ ვერსიაზე ასხამს წყალს. მართლაც უცნაურია, რომ სპეცსამსახურების აშკარა დანაშაულის ფონზე, რომელთა დაუდევრობის წყალობით თვითმკვლელმა მოსკოვში კილოგრამობით ასაფეთქებელი ნივთიერება შეიტანა, მთელი ყურადღება აეროპორტის მფლობელ კერძო კომპანიაზე გადაიტანეს.

ნათელია, რომ წულოვანი უსაფრთხოება მხოლოდ „დომოდედოვოს“ აეროპორტის ხელმძღვანელობის შეცდომა არ არის. ეს, პირველ რიგში, ქვეყნის ხელმძღვანელობის და, კერძოდ, ძალოვანი სტრუქტურების მიერ დამუშავებული შეცდომაა. ფაქტია,



ფოტო: დენის სინიაპორ / REUTERS

მსგავსი მოსკოვის რომელიმე სხვა აეროპორტში, „შერემეტევოში“ ან „ვნუკოვოში“ რომ მომხდარიყო, ტერორისტული აქტისთვის იქაც არ იქნებოდნენ მზად.

ბევრი მგზავრი აღნიშნავს, რომ მოსკოვის აეროპორტებში, უკვე დიდი ხანია, აღარ ამონებენ ტერმინალებში შემავალი მგზავრების ბარგს. ეს იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სისტემა არა დანაშაულის პრევენციაზე, არამედ შედეგებზეა აგებული.

რუსულ სოციალურ ქსელებში ტერაქტი ასე შეფასდა: „დომოდედოვოს“ „განურვა“ სურთ“. ეს რუსეთში ჩვეულებრივი ამბავია. საკმარისია 2010 წელს პიატიგორსკში მომხდარი ტერაქტის გახსენება, სადაც ერთ-ერთ მთავარ ვერსიად დღემდე რჩება კონკურენტების მიერ ადგილობრივი ბიზნესმენისთვის პრესტიჟული რესტორნის წართმევა.

მოსკოვის ტერაქტს სხვა ვერსიაც აქვს, რომელსაც ასევე თავისი ძალიან კონკრეტული ისტორიული საფუძველი აქვს.

1999 წელს რუსეთში რამდენიმე ტერაქტი მოხდა. მოსკოვში, ბუინაქსკში და ვოლგოდონსკში მომხდარმა აფეთქებებმა ასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა. მოსახლეობა პანიკამ და შიშმა მოიცვა, რაც ხელსაყრელი ფონი იყო 1999 წლის შემოდგომაზე ჩვენთვის ფედერალური



„დომოდედოვოს“ აეროპორტში, აფეთქების ადგილას ცოცხალი ყვავილები მიაქვთ, 25 იანვარი 2011



ვლადიმირ პუტინმა ტერაქტის შედეგად დაჭრილები მონახულა, 25 იანვარი 2011

ფოტო რაი ნოვოსადი / REUTERS

■ რუსულ სოციალურ ქსელებში შავი ხუმრობა გაჩნდა: „ვლადიმირ ვლადიმეროვიჩ, ჩვენ ისედაც აგირჩევთ, არაა საჭირო ისეც აფეთქებები“.

ჯარების შესაყვანად. ეს რუსეთის ახალი პრემიერ-მინისტრის და მანამდე ყველა-სათვის უცნობი პოლიტიკოსის ვლადიმირ ვლადიმერის ძე პუტინის ძალიან ეფექტური პიარსვლა იყო. 1999 წლის 23 სექტემბერს, მაშინ, როცა რუსული ავიაცია გროზნოს ბომბავდა, პუტინმა წარმოთქვა ფრაზა – „террористов будем мочить в сортире“, რომელიც ფრთიან გამონათქვამად იქცა. ამ ომის წყალობით პუტინი პრეზიდენტი გახდა.

ორი წლის შემდეგ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია. ექსპერტების აზრი ორად იყოფა: ერთი მიიჩნევენ, რომ დიმიტრი მედვედევი პოზიციებს ბრძოლის გარეშე დათმობს, რადგან სწორედ ასეთი იყო მისი თავდაპირველი გარიგება ერის ლიდერთან – პუტინთან, რომელმაც ტახტი მხოლოდ ერთი ვადით დათმო. სხვები ვარაუდობენ, რომ მედვედევის ირგვლივ უკვე საკმაოდ ბევრი მდიდარი და გავლენიანი ადამიანი შეიკრიბა, რომელთა ინტერესებში არ შედის ჩეკისტი პუტინის დაბრუნება, ძალოვნების გაძლიერება და დასავლეთთან კონფრონტაცია. ევროპამ

გასაგებად გამოხატა, რომ „ხოლორკო-ვსკის საქმის“ მსგავსი პუტინის პროექტები მისთვის მიუღებელია.

თუ მედვედევის გუნდი „სამართლიან არჩევნებს“ შემოგვთავაზებს, ეს რუსეთში ბოლო 10 წლის პირველი დემოკრატიული არჩევნები იქნება. თავისუფალი არჩევნის პირობებში, საზოგადოების აზრი, შესაძლოა, მოულოდნელად გაიყოს. პუტინის ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგის მიუხედავად, მედვედევი სულ უფრო მეტ ქულას იწერს – იმიჯმეიკერებმა მას მომღიმარი „კარგი ბიჭის“ იმიჯი შეუქმნეს. ბევრ ამომრჩეველს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მედვედევის ახალგაზრდობა, გონებაგახსნილობა და ღია დისკუსიების ნაყვანის უნარი მოსწონს.

ბოლო წლებში მედვედევი მხოლოდ ორჯერ მოიქცა პრეზიდენტისთვის შეუფერებლად. პირველად, გასული წლის დეკემბერში, მანუჟის მოედანზე ანტიკავკასიური გამოსვლების დროს. პრეზიდენტმა მაშინ დუმილი ამჯობინა და არანაირი ოფიციალური განცხადება არ გააკეთა. მიმომხილველები წერდნენ, რომ მედვედევს,

უბრალოდ, არაფერი ჰქონდა სათქმელი. მანუჟის მოედანზე პუტინის მიერ წლების განმავლობაში ჩადებული წელი მოქმედების ნაღმები ამუშავდა. თუ შეთქმულების თეორიას დავუჯერებთ, არეულობები სწორედ იმისთვის იყო მოწყობილი, რომ მედვედევისთვის ეჩვენებინათ – თუ ის კონტროლს არ დაექვემდებარებოდა, მას ამ ქვეყნის მართვა გაუჭირდებოდა.

კიდევ ერთი ასეთი ნაღმი ტერორიზმია. „დომოდედოვოს“ ტერაქტის დღეს მედვედევის დაბნეული სახე და არაადეკვატური განცხადებები, რომლებიც ყველა ტელეარხზე გადაიკა, მეტყველებდა იმაზე, რომ მას ამ ნაღმის გაუწვებელყოფაც არ შეუძლია. მედვედევის ოპონენტებს საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ბევრი ასეთი ნაღმი-სიურპრიზი ექნებათ.

„წინასაარჩევნო“ ვერსია ინტერნეტში ყველაზე პოპულარული და განხილვადი აღმოჩნდა. სოციალურ ქსელებში შავი ხუმრობაც კი გაჩნდა: „ვლადიმირ ვლადიმეროვიჩ, ჩვენ ისედაც აგირჩევთ, არაა საჭირო ისეც აფეთქებები“.



ფოტო: ზურა პანკაბას / REUTERS

ტუნისი და საქართველო

ბუცხილი უნდა იყოს თუ ახა სუაუხუთუელო ტუნისის ხეუოლუეის მიუახი

ტუნისის მოვლენებმა კიდეე ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველოში რეუოლუციური სიტუაცია არ არის. მაგრამ ხელისუფლება ამის გამო ზედმეტად არ უნდა გალალდეს.

გია ნოღია



ანტისამთავრობო დემონსტრაცია პრემიერ-მინისტრის ოფისის წინ, 23 იანუარი 2011

ტუნისის "უახშირის ხაზი"

- ▶ 7 დეკემბერი: ტუნისის ქალაქ სიდი-ბუზიდში 26 წლის მოქალაქე მოჰამედ ბუაზიზი საჯაროდ ინვაზს თავს. ტუნისის ხელისუფლების მხრიდან მუდმივ რეპრესიებს, უმუშევრობას და სიღარიბეს აპროტესტებს;
- ▶ 24 დეკემბერი: 22 წლის ჰუქინე ფალიმი ქუჩის დემონსტრაციის დროს თავს იკლავს. მოტივი კვლავ უმუშევრობა და სიღატაკეა;
- ▶ 24 დეკემბერი: ცენტრალურ ტუნისში პოლიციამ აქციის 18 წლის მონაწილეს, მოჰამედ ამარის კლავს;
- ▶ 28 დეკემბერი: რეგიონებიდან პროტესტების ტალღა დედაქალაქში ინაცვლებს; ქუჩაში 1000-ზე მეტი დამიანი გამოდის;
- ▶ 5 იანვარი: მოჰამედ ბუაზიზი გარდაიცვალა;
- ▶ 8-10 იანვარი: ქუჩის პროტესტების დროს მომხდარი შეტაკებებისას, მინიმუმ, 23 მოქალაქე იღუპება;
- ▶ 12 იანვარი: საპროტესტო აქციებში დაღუპულთა რიცხვი 100-ს აჭარბებს;
- ▶ 12 იანვარი: პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი შექმნილი მდგომარეობის გამო შინაგან საქმეთა მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებს;
- ▶ 13 იანვარი: პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი პირობას დებს, რომ 2014 წელს სატელევიზიო მიმართვით გადადგება;
- ▶ 14 იანვარი: პრეზიდენტმა მთავრობა და პარლამენტი დაითხოვა, გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი პრეზიდენტის პოსტს ტოვებს და ქვეყნიდან საუდის არაბეთში გარბის;
- ▶ 17 იანვარი: პრემიერ-მინისტრი მოჰამედ განუჩი კოალიციურ მთავრობის ფორმირებას იწყებს.

როდესაც მმართველი პარტიიდან რადიკალურად მხარდობის პოლიტიკოსს ვკითხე, რა არის ქვეყნის პოზიცია ტუნისის ბოლოდროინდელი მოვლენების მიმართ, მათთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. პოზიცია არ არსებობს და ეს მხოლოდ მთავრობას როდი ეხება: ტუნისის მოვლენებს საქართველოში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. სოციალურ ქსელებში ცოტა კი იმსჯელებს, მაგრამ არც იქ მოუკლავთ თავი.

კაცმა რომ თქვას, ან რატომ უნდა გაგვიკვირდეს? ტუნისი შორსაა, მასთან ურთიერთობა ნაკლებად გვაქვს, იქ თუ რამე მოხდა, ეს საქართველოზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ ქართულ ინდიფერენტულობაზე, ე. წ. „უახშირის რევოლუციის“ მიმართ ერთი-ორი სიტყვის თქმა მაინც ღირს.

ჯერ ზოგად კონტექსტზე შევჩერდები. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც გაცილებით უფრო ცინიკური გახდა პოლიტიკური თავისუფლების იდეის მიმართ. პრეზიდენტ ბუშის შემდეგ დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებაზე საუბარი მოდაში აღარაა. ამ კონცეპტს ან ამერიკული იმპერიალიზმის ფარულ (თუ არც ისე ფარულ) გამოვლენად, ან ამერიკელთა იდიოტიზმამდე მისულ მიამიტობად განიხილავენ. ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნებისგან დემოკრატიის მოთხოვნა, განსაკუთრებით თუ ეს ქვეყანა არააზიელია, ლამის უხერხული გახდა.

დემოკრატიის სული

ტუნისის რევოლუციამ, რომელიც აშკარად ქვეყნიდან დაიწყო და მთავრობის შეცვლის სახალხო სურვილი გამოხატა, მთელ მსოფლიოში გამოაცოცხლა პოლიტიკური თავისუფლების ნირნამხდარი მხარდამჭერები. მიუხედავად რეალპოლიტიკის აღზევებისა, დემოკრატიის სული ცოცხალია და თავს ისეთ ადგილებშიც ავლენს, სადაც ამას ყველაზე ნაკლებ ელოდნენ: მაგალითად, მალრიბში.

გაჩნდა იმედი, რომ ტუნისის წყალი სხვა არაბულ ქვეყნებსაც გადაესხმება. მეორეს მხრივ, ბევრს გაახსენდა ირანის 1979 წლის რევოლუცია, რომელსაც თავისუფლება ნამდვილად არ მოუტანია,

ან თუნდაც ამ საუკუნის დასაწყისში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში მომხდარი ე. წ. ფერადი რევოლუციების არაერთგვაროვანი შედეგები. „უახშირის რევოლუცია“ არსებითად დემოკრატიული ცდომილებაა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ტუნისში აუცილებლად დემოკრატიული რეჟიმი დამკვიდრდება.

როგორ ჯდება ამ სურათში საქართველო? ტუნისის მოვლენები 2004 ან 2005 წელს რომ მომხდარიყო, მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, გამოვიდოდა განცხადებით, რომ ტუნისელი ხალხი, ისევე, როგორც ყველა სხვა, თავისუფლებას იმსახურებს. ალბათ, არც იმის მინიშნება დაავიწყდებოდა, რომ ვარდების რევოლუცია ტუნისელი დემოკრატებისთვის შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. ვერ გამოვირიცხავთ, ჩვენი რევოლუციის ერთი-ორი ვეტერანი ტუნისში ჩასულიყო, რათა რევოლუციური მასებისთვის მორალური მხარდაჭერა გამოეხატა და იქნებ ერთი-ორი სასარგებლო რჩევაც მიეცა.

დღეს ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. რატომ? ჯერ ერთი, რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ საქართველო პრაგმატიზმის გლობალურ მოდას აპყვავს. დღეს მისთვის რეგიონის ქვეყნებთან კარგი ურთიერთობაა პირველი რიგის ამოცანა და სულ აღარ უნდა ადგილობრივი ბუნტისთავების მხარდაჭერით მათი გალიზიანება. ურთიერთობები ბელარუსთან (საკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დიქტატორ ალექსანდრე ლუკაშენკოს ხელახალი არჩევა მიულოცა) ამის ყველაზე თვალსაჩინო, მაგრამ არა ერთადერთი მაგალითია.

გარდა ამისა, 2007-2009 წლის მასობრივი გამოსვლების შემდეგ საქართველოს მთავრობამ და მისმა მხარდამჭერებმა დაკარგეს სხვადასხვა ქვეყნის ფერად რევოლუციებთან ავტომატური იდენტიფიკაციის ინსტინქტი. ტუნისის მოვლენებზე რეაქციის არქონამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის მმართველობის რევოლუციური ფაზა დასრულდა. დღეს ის ჩვეულებრივი მთავრობაა, რომელიც ყოველდღიური პრობლემებითაა დაკავებული. კარგად უმკლავდება ამ საქმეებს თუ ცუდად, დე-



ტუნისელი მომიტინგეები პოლიციის მიერ აღმართულ ბარიერებს ანგრევენ, 27 იანვარი 2011

ფოტო: გენა ბაგაძე / REUTERS

■ **ბენ ალიმ საკუთარი ქვეყანა ტურისტულ სამოთხედ და თავისი რეგიონის ერთ-ერთ ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნად აქცია, ბოლოს კი მაინც რევოლუცია მიიღო. ესე იგი, მიშასაც ასე მოუვა, რამდენი ტურისტიც არ უნდა მიიზიდოს აჭარასა თუ სვანეთში.**

მოკრატულად თუ არცთუ ისე დემოკრატიულად, ეს უკვე სხვა საკითხია.

შეღარების საფუძველი

საკაპვილის ოპონენტებისთვის უფრო ლოგიკურია, სააკაპვილი ტუნისის დამხობილ მმართველს ბენ ალის შეადარონ. შედარებისთვის საფუძვლის მონახვა ნამდვილად შეიძლება. საქართველოში, ტუნისისგან განსხვავებით, დიქტატურა არ არის, მაგრამ პოლიტიკურ სისტემას ავტორიტარული შეფერილობა აშკარად დაჰკრავს. ბენ ალის რეჟიმი დიქტატორული იყო, მაგრამ უფრო რბილი, ვიდრე ბევრ არაბულ ქვეყანაში.

უკანასკნელ დრომდე, ტუნისის განიხილავდნენ ავტორიტარული მოდერნიზაციის შედარებით წარმატებულ მაგალი-

თად, რომელშიც, ამავე დროს, რაღაც ზომით სამოქალაქო უფლებებიც იყო შენარჩუნებული. სააკაპვილის ოპონენტები ნიშნის მოგებით ამბობენ: აგერ, ბენ ალიმ შეძლო იმის გაკეთება, რასაც მისი ქართველი კოლეგა ჯერ ახლა ცდილობს: მან საკუთარი ქვეყანა ტურისტულ სამოთხედ და თავისი რეგიონის ერთ-ერთ ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნად აქცია, ბოლოს კი მაინც რევოლუცია მიიღო. ესე იგი, მიშასაც ასე მოუვა, რამდენი ტურისტიც არ უნდა მიიზიდოს აჭარასა თუ სვანეთში.

მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვი, არც ქართულ ოპოზიციას უღაპარაკია ბევრი „ტუნისის პრეცედენტზე“. როგორც ჩანს, ისინი შიდა გარჩევებს გადაყენენ, ხალხმა კი რევოლუციის ხალისი

დაკარგა. ამ აზრით, ტუნისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველოში რევოლუციური სიტუაცია არ არის.

მაგრამ ხელისუფლება ამის გამო ზედმეტად არ უნდა გალადდეს. „ჟასმინის რევოლუცია“ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კანონზომიერებას შეგვახსენებს: ავტორიტარული მოდერნიზაცია, განსაკუთრებით თუ ის წარმატებულია, რევოლუციითაა ფეხმძიმე. მისი წარმატება ქმნის საშუალო კლასს, რომელიც ადრე თუ გვიან სრულფასოვან პოლიტიკურ თავისუფლებას მოითხოვს. პოლიტიკური თამაშის წესებზე კონსენსუსის მიღწევის გარეშე სტაბილურობა ვერ იარსებებს. ეს გაკვეთილი ყველა რეფორმატორსა და მოდერნიზატორს უნდა ახსოვდეს. ■

ეკონომიკა

ინფლაციის ანახორბი

ინფლაცია საქართველოში საშიშ ზღვარს მიუახლოვდა, მასთან ბრძოლის ეფექტური გეგმა კი კვლავ არ არსებობს.

მანანა ვარდიაშვილი



გასული წლის ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს ეკონომიკის უმთავრეს გამოწვევად მაღალი ინფლაცია დაასახელა. მან მთავრობას ანტიინფლაციური პროგრამის მომზადება და ბიუროკრატიული აპარატისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება დაავალა.

ინფლაცია არ შეჩერებულა, მთავრობას კი მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გეგმა ისევ არ აქვს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ფასებმა 11,2 პროცენტით იმატა, რაც 1996 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

დადუნაშვილების ოთხსულიანი ოჯახი თბილისის გარეუბანში, ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. რეზო საჯარო დაწესებულებაში მუშაობს, ხელფასი 500 ლარი აქვს. მისი მეუღლე უმუშევარია. ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ.

„თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი, თანაც მშობლები კახეთიდან პროდუქტით გვეხმარებიან. ოჯახის ბიუჯეტი მკაცრად გვაქვს განსაზღვრული და ფასის მინიმალურ მატებასაც ვგრძნობ. 500 ლარი არც აქამდე გვყოფნიდა და ახლა – მით უმეტეს. ორი დღის წინ მარიაში კლასელის დაბადების დღეზე იმიტომ არ წავიდა, რომ საჩუქარი ვერ ვუყიდე და მოერიდა“, – ჰყვება ოჯახის დიასახლისი თამუნა.

დადუნაშვილების ოჯახის მსგავსად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლარის მსყიდველობითი უნარის შემცირება საკუთარ თავზე უამრავმა ადამიანმა იგრძნო.

გასული წელი საქართველომ 11,2-პროცენტით ინფლაციით დაასრულა (ფასთა საერთო დონის ასეთი მაღალი ზრდა ქვეყანაში ბოლოს 2007 წელს დაფიქსირდა, თუმცა მაშინაც

ინფლაცია უფრო ნაკლები – 11 პროცენტი იყო). ეს იმას ნიშნავს, რომ იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რაზეც 1 წლის წინ 100 ლარს ვხარჯავდით, ახლა საშუალოდ 111,2 ლარი გვჭირდება.

4 მილიონიანი ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი – 1 მილიონ 761 ათასზე მეტი ადამიანი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაშია დარეგისტრირებული და სახელმწიფოსგან საარსებო შემწეობას ითხოვს, მაღალი ინფლაცია განსაკუთრებით დიდი პრობლემაა.

პრობლემას საქართველოს მთავრობაც აღიარებს. ბოლო დროს პრეზიდენტი თავის ყველა გამოსვლაში ინფლაციის თემას ხეობა.

„ინფლაცია არის მთავარი ეკონომიკური გამოწვევა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს“, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. „ცხადია, ჩვენ რომ იაპონიის, კატარის ან აშშ-ის ოდენობის შემოსავლების მქონე ქვეყანა ვიყოთ, ეს პროცესი ჩვენზე ნაკლებად მტკივნეულად აისახებოდა. ჩვენი ხალხისთვის სამომხმარებლო კალათაში მთავარი საჭმელია. ახლა ყველაზე ცუდი ინფლაცია მოხდა ბოლო წლების განმავლობაში. თუ 2006-2007 წლებში უძრავი ქონება ძვირდებოდა, ახლა შაქარი, წინიბურა, ფქვილი, რძის პროდუქტები, ბრინჯი და სხვა საკვები პროდუქტები გაძვირდა. ინფლაცია მოსახლეობის დიდი ნაწილის მთავარ საზრუნავს – სამომხმარებლო კალათას შეეხო“.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 11,2-პროცენტით ინფლაციაში სურსათის გაძვირების წილი 9,5 პროცენტული პუნქტია. ეს ნიშნავს, რომ საკვები პროდუქტების ნაწილზე ფასი არა 11%-ით, არამედ გაცილებით მეტად გაიზარდა. მაგა-

ლითად, შაქარზე ფასის ზრდამ 50%-ს მიაღწია.

საქართველოში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი, პირველ რიგში, ეროვნული ბანკია. კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში,



დავით ნოსფრიშვილი
„თავისუფალი დემოკრატების“
ეკონომიკური საბჭოს
თავმჯდომარე, ეკონომიკური
ექსპერტი

ინფლაცია, რომელიც 8 პროცენტს აჭარბებს, უკვე საგანგაშოა. ზომიერი ინფლაცია 3-4 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. წელს სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება. იმპორტირებული სურსათის გაძვირება განსაკუთრებით იმ ადამიანებს აზარალებს, რომლებიც სიღარიბის ზღვარზე, ან მის მიღმა არიან. ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი 1 მლნ 800 ათასს აღწევს. პენსიონერები, რომელთა პენსიაც ისევ 70 ლარია, 11,2 პროცენტით ინფლაციის პირობებში ამ თანხით იმ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების ნახევარს იყიდნენ, რასაც 2008 წელს ყიდულობდნენ.

ინფლაციის მოთოკვას პოლიტიკური ნება სჭირდება. მაღალი ინფლაციის დათრგუნვის ყველაზე ეფექტური და სწრაფი გზა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მასში არსებული არამიზნობრივი ბიუროკრატიული და ე.წ. „სხვა“ ხარჯების შემცირების მეშვეობით. სამწუხაროდ, მსგავსი ტენდენცია არ შეიმჩნევა. პირიქით, რამდენიმე სამინისტროში მომსახურე პერსონალის იგივე რაოდენობის პირობებში სახელფასო ფონდი გაიზარდა. მოუქმელი სახელმწიფო აპარატი საკმაოდ დიდია. როგორც ჩანს, ხელისუფლება მის შემცირებას უახლოეს მომავალშიც არ აპირებს.



თუ ინფლაცია 10 პროცენტს გადაჭარბებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ერთიან ინფლაციის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად ფინანსთა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრებსაც ეკისრებათ.

2010 წელს ინფლაციის 10 პროცენტზე მეტად გაზრდის გამო არცერთი ამ უწყების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. მათ არაფერი უთქვამთ არც საკუთარი წილი შეცდომების თაობაზე. მთავრობის წევრებმა გამოსავალი მონახეს: ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს, რომ „ქვეყნის ინფლაციის 90 პროცენტი გარე ფაქტორებითაა გამოწვეული“.

ნაციონალური არხებით ყოველ-

დღიურად გადაიცემა სიუჟეტები მსოფლიოში მძვინვარე ინფლაციის შესახებ.

ქადაგიძის მოადგილე არჩილ მესტირიშვილი კი ინფლაციაში კარტოფილს ადანაშაულებს. ეკა კვესიტაძის გადაცემაში „აქცენტები“ ამ კულტურაზე საუბარს მესტირიშვილმა საკუთარი გამოცვლის სოლიდური ნაწილი დაუთმო:

„პროდუქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი წილი შეიტანა ინფლაციაში, არის კარტოფილი. 2010 წლის განმავლობაში კარტოფილის ფასი გაორმაგდა. მისი ფასი გაორმაგდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც. ინფლაციაში მისი წილი 2,4 პროცენტული პუნქტია. მხოლოდ კარტოფილის გარეშე ჩვენი ინფლაცია 10 პროცენტზე ნაკლები იქნებოდა... კარტოფილის ფასის ადრინდელ მარჩვენებელზე დაბრუნებით ინფლაცია მცირდება 5,5 პროცენტული პუნქტით და ჩვენ ჩამოვდივართ 6-პროცენტიან ინფლაციაზე,“ – განაცხადა მესტირიშვილმა.

საკვებსა და საწვავზე ფასების მატების ასეთი ახსნა აქვს საქართველოს პრეზიდენტს:

„პროდუქტები გაძვირდა იმიტომ, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრი ქვეყანა განვითარდა. ჩინელების უმეტესობა მთელი მათი ისტორიის მანძილზე შიმშილობდა. ახლა ჩინეთის თითქმის მთელმა მოსახლეობამ ჭამა დაიწყო. ჩინეთში 1,5 მილიარდზე მეტი ადამიანია. მათ უნდათ კვება. ეს პირდაპირ მოქმედებს ფასებზე. ადრე მთელი ჩინეთი დადიოდა ველოსიპედით. ახლა მათ დაიწყეს მანქანების ყიდვა, ესე იგი, ასხამენ ბენზინს. ამუშავდა უზარმაზარი სანარმოები, ესე იგი, მათ სჭირდებათ ენერგორესურსები. შედეგად, ძვირდება სურსათი და საწვავი“.

მსოფლიო ბაზარზე სურსათის და საწვავის გაძვირება ობიექტური რეალობაა. თუმცა ამ ობიექტური რეალობის ფონზეც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში საქართველოსგან განსხვავებით ერთიან ინფლაციის შენარჩუნება შეძლეს. 2010 წელს ევროზონის ქვეყნებში ინფლაცია 2,2 პროცენტი

იყო. 3,7-პროცენტიანი ინფლაცია დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში, რასაც ექსპერტებმა „შოკისმომგვრელი“ უწოდეს. 10 პროცენტზე ნაკლები იყო ინფლაცია საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც: სომხეთში 9,2 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში – 5,7.

რეალურად, ასეთი მაღალი ინფლაცია მხოლოდ მთავრობის მიერ გატარებულ არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ეს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდაა. ცნობილი აქსიომაა: ფასები მატულობს მაშინ, როცა პროდუქტების და მომსახურების მიწოდება არ იზრდება, ან არ იზრდება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შესაბამისად.

საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ეროვნული ბანკი ახორციელებს. მიმოქცევაში ჭარბი ფულის „ნებით“ თუ „უნებლიეთ“ გაშვება სწორედ ეროვნული ბანკის მისიაა. ჭარბ ფულს კი, როგორც წესი, მთავრობები საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად მოიხმარენ. გასულ წელს საქართველოში საბიუჯეტო დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტს, ანუ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევროკავშირის ექსპერტებმა საქართველოს ხელისუფლებას ბიუჯეტის დაბალანსების და სახელმწიფო ხარჯების შემცირების რეკომენდაცია ჯერ კიდევ 2009 წელს მისცეს. ამ რეკომენდაციის საპირისპიროდ, მთავრობამ 2010 წლის ივნისში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 215 მილიონი ლარით გაზარდა. გარდა ამისა, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, 100 მლნ ლარით გაიზარდა საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მოსამსახურეთა ხელფასებიც. ფართოდ რეკლამირებული „ქამრების შემოჭრის პოლიტიკა“ რეალობად ვერ იქცა. მთავრობამ ბიუროკრატიული აპარატისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები ვერ გადადგა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და გლობალური საფინანსო

სახსებო მინიშანი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საარსებო მინიმუმმა ბოლო 7 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. საქსტატის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი 2009 წელთან შედარებით 18,6 პროცენტით გაიზარდა. 2010 წლის დეკემბერში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი – 149,6 ლარი, ხოლო ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 265 ლარი იყო. იმავე წლის დასაწყისში კი – იანვარში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 128 ლარი იყო. ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 226,8 ლარი. საარსებო მინიმუმის ღირებულება მკვეთრად ბოლო ექვს თვეში გაიზარდა.

კანონის თანახმად, მინიმალური ხელფასი ისევე, როგორც პენსია, არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. თუმცა ეს კანონი არ სრულდება, რადგან მინიმალური ხელფასის ოდენობა საერთოდ არ არის განსაზღვრული, პენსია კი საარსებო მინიმუმის ნახევარი – 70 ლარია.



თბილისის სასურსათო ბაზარი

საქართველოში
ფოტო: თეიმურაზ ბაგრატიანი

■ **ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 11,2-პროცენტთან ინფლაციაში სურსათის გაძვირების წილი 9.5 პროცენტული პუნქტია.** ეს ნიშნავს, რომ საკვები პროდუქტების ნაწილზე ფასი არა 11%-ით, არამედ გაცილებით მეტად გაიზარდა. მაგალითად, შაქარზე ფასის ზრდამ 50%-ს მიაღწია.

ახილეთ ფასი ბაზარზე წინა წელთან შედარებით

	2010 წლის იანვარი	2011 წლის იანვარი
1კგ შაქარი	1,85 ლარი	2,50-2,60 ლარი
1კგ წინიბურა	2,20-250 ლარი	3,80 ლარი
1ლ ზეთი	2,70- 3,50 ლარი	3,50-4 ლარი
1კგ ფქვილი	70 თეთრი	1,40 ლარი
1კგ კარტოფილი	60-70 თეთრი	1,40-1,50 ლარი
1 კგ ბრინჯი	0,95-1,10 ლარი	1,60-1,70 ლარი

ჯომენაუხი ბადასახალები

2011 წლის 1 იანვრიდან თბილისელებისთვის გაიზარდა წყლის საფასური. წყლის გადასახადი 1 სულზე 2,40ლარი იყო, 2010 წლის 1 იანვრიდან კი 3,15 ლარი გახდა. მოსალოდნელია დასუფთავების გადასახადის ზრდაც 1,20-დან 2-50 ლარამდე. სხვა კომუნალური გადასახადები, 2011 წელს, სავარაუდოდ, არ მოიმატებს.

ბენზინის ფასი

	2010 წლის იანვარი	2011 წლის იანვარი
1 ლ „რეგულარი“	1,70 ლარი	1.95 ლარი
1 ლ პრემიუმი	1,75-1,80 ლარი	2.10 ლარი

მენისიკაჯი სხანსპოხით მბზახობა

2009-2010 წლები – 40 თეთრი; 2010 წლის 6 დეკემბრიდან საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის საფასური 50 თეთრი გახდა (ელექტრონული ბარათებით სარგებლობის შემთხვევაში, იმავე დღეს ბარათის მეორედ გამოყენების დროს მგზავრობის საფასური 30 თეთრია, ყოველი მომდევნო მგზავრობის ღირებულება კი 20 თეთრი).

კრიზისის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის მთავარი მასტიმულირებელი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები გახდა. ეს პროექტები, ძირითადად, უცხოური კრედიტებითა და გრანტებით ფინანსდება. უცხოური ვალუტის ეროვნულ ლარში კონვერტირება კი, მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდას იწვევს. ფასების საერთო დონის ზრდას ხელს საბაზრო კონკურენციის არარსებობაც უწყობს. ხელისუფლების მხრიდან ლობირებული მსხვილი კომპანიები ხშირად

ერთმანეთთან კარტელურ გარიგებაში შედიან და სამომხმარებლო ბაზარზე სპეკულაციურ ფასებს აწესებენ.

ინფლაციის წამახალისებელ ფაქტორად იქცა გაზრდილი გადასახადებიც. ეროვნული წარმოების დაცვის ეგიდით, 2010 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელიც 12-პროცენტიანი საბაჟო განაკვეთით იბეგრება. თუმცა, 12-პროცენტიანი დაბეგრის რეჟიმში ისეთი პროდუქციაც მოხვდა, რომელიც საქართველოში არ იწარმოება (დაბეგრის ეს რეჟიმი მხოლოდ იმ ქვეყნებიდან შემოსულ საქონელს ეხება, რომლებთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვს).


ექსპერტთა შეფასებით, ინფლაცია საქართველოში საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციით, საქართველოს დონის ქვეყანაში ინფლაციის პარამეტრი 6-7 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ნიშნულზე უფრო მაღალი ინფლაცია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს და კიდევ უფრო აღარბებს ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობას.

პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ პრობლემის სიმწვავეს აცნობიერებს და მისი გადაჭრის გზებს, ძირითადად, საქართველოში სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას უკავშირებს: „დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენს წინაშე დიდი ეკონომიკური გამოწვევებია, მათ შორის ის, რომ მსოფლიო ბირჟებზე საწვავი ძვირდება და სურსათზე ფასებმა მოიმატა, ერთადერთი გამოსავალი საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა, რათა მოსახლებამ გაძვირებული პროდუქციის ყიდვა შეძლოს“.

თუმცა, პრეზიდენტი სააკაშვილი აქვე იმასაც დასძენს, რომ „მსოფლიო ბაზარზე სურსათის და საწვავის გაძვირებით გამოწვეული ინფლაციის შეჩერების ბერკეტებს საქართველოს მთავრობა არ ფლობს“.

რეალურად, ასეთი მაღალი ინფლაცია მხოლოდ მთავრობის მიერ გატარებულ არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ეს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდაა.

ფულის მასის და ფასების დონის სწრაფი იმპულსი, 2003=100



მონაცემების წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი

გრაფიკზე გამოსახულია როგორ იცვლება ფასების დონე ფულის მასის ზრდასთან ერთად.

2003 წლის დეკემბრის ბოლოს ქვეყანაში არსებული ფულის მასა და ფასების დონე მოცემულია ახი ერთეულის ტოლად. ფულის მასა მოიცავს როგორც მიმოქცევაში არსებულ, ასევე – საბანკო დეპოზიტებზე განთავსებულ ფულს.

2010 წლის ბოლოსთვის ფულის მასის ინდექსი 100-დან 590 ერთეულამდე გაიზარდა, ანუ დღეს მიმოქცევაში თითქმის 6-ჯერ მეტი ფულია, ვიდრე 2003 წლის ბოლოს იყო.

ფასების ზრდის ინდექსი კი უჩვენებს, რომ 2010 წლის ბოლოსთვის ფასების დონემ 167 ერთეული შეადგინა, ანუ გაიზარდა 1.67-ჯერ. ეს ნიშნავს, რომ იმ რაოდენობის პროდუქტის შესაძენად, რომელიც 2003 წლის ბოლოს 300 ლარი ღირდა, დღეს 1.67-ჯერ მეტი, ანუ 500 ლარი დასჭირდება.

ბოლო 7 წელიწადში საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 1.5-ჯერ, ხოლო ფულის მასა 6-ჯერ. სწორედ ამიტომ იყო მაღალი ინფლაციის ტემპი ბოლო წლებში.



ვაშლის გამყიდველი თბილისის ცენტრში

საქართველო



მერაბ კაკულია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი

ეროვნული ბანკი ძალიან რთული დილემის წინაშე დგას: მას შეუძლია, ინფლაცია ერთციფრიან ნიშნულზე დააბრუნოს, მაგრამ ამას შესაძლოა, ეკონომიკის დაკრედიტების პარალიზება და ეკონომიკური ზრდის შეჩერება მოჰყვეს. თუ ერთნიშნა ინფლაციის მიღწევას შევნიშავთ მთელ ეკონომიკურ აქტივობას, მაშინ არსებითი მნიშვნელობა არ ექნება იმას, რა მოიტანს უარყოფით შედეგს — ეკონომიკური ზრდის შეჩერება და უმუშევრობა, თუ ინფლაცია და გაზრდილი ფასები.

ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მოქმედებასაც. ბიუჯეტის

ხარჯები უნდა შემცირდეს და ეს შემცირება უნდა იყოს მნიშვნელოვანი; მთავრობას უნდა ჰქონდეს ძირითადი სასურსათო პროდუქტების საიმედო რეზერვები, რათა მწვავე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ბაზარზე ფასების გარკვეული რეგულირება. ასეთი მიდგომა არ ჯდება ულტრალიბერალურ კონცეფციებში, მაგრამ როცა სხვა საშუალება არ არის, ეს უნდა გაკეთდეს. ასევე, მთავრობამ უნდა გააძლიეროს კონკურენციის პოლიტიკა და მსხვილ იმპორტიორებს მსოფლიო ბაზრის ფასების თემით სპეკულირების და მანიპულირების საშუალება არ მისცეს.

ინფლაცია ხაზიონში	%
რუსეთი	8,8
სომხეთი	9,2
აზერბაიჯანი	5,7
მოლდოვა	8,1
უკრაინა	9,1
თურქეთი	8,6

ინფლაცია ასოლიონში	%
აშშ	1,6
დიდი ბრიტანეთი	3,7
გერმანია	1,2
საფრანგეთი	1,7
რუმინეთი	6,1
ლიტვა	1,2
ლატვია	1,2 (დეფლაცია)
ესტონეთი	2,7
კვიპროსი	2,6
საბერძნეთი	4,7

თვალსაზრისი

ინფლაცია ინვესტიციების ინფლაცია

ინფლაცია, რომელიც დღეს არის საქართველოში, პირველ რიგში, ქვეყნის სოციალურ გარემოს დაზარალებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში უფრო მძიმედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება.

დავით შენგელია

ინვესტიციების მაღალი დონე ის მთავარი პირობაა, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის აუცილებელია. ინვესტირება კი საგრძნობლად მცირდება, როცა ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა.

შიდა ინვესტიციების მთავარი წყარო ის დანაზოგებია, რომელსაც მოსახლეობა აკეთებს. ეს ფული ინვესტიციებში იდება, რაც წარმოებს აფართოებს და სამუშაო ადგილებს ქმნის.

ინფლაციის პირობებში ადამიანებს, ერთი მხრივ, უფრო ნაკლები ფული რჩებათ დანაზოგის გასაკეთებლად, რადგან ინფლაციის დროს დღეს უფრო ნაკლები პროდუქტის შეძენა შესაძლებელი, ვიდრე გუშინ იმავე შემოსავლით შეიძლებოდა. მეორე მხრივ კი, მოსახლეობას უჩნდება შიში, რომ ფასები კიდევ უფრო გაიზარდება. ინყებენ პროდუქტების მომარაგებას, რაც კიდევ უფრო ამცირებს შესაძლო დანაზოგებს.

დღევანდელ ვითარებაში, როცა საქართველოს ეროვნული ბანკი აშკარად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ვერ უზრუნველყოფს ინფლაციის დაბალ მაჩვენებელს, რთულია პროგნოზების გაკეთება – როგორი იქნება ფასების დონე ხვალ, როგორ შეიცვლება საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის კურსი. ამ პირობებში კი ბიზნესს გადაწყვეტილებების მიღება და სამომავლო გეგმების დასახვა უჭირს.

ინფლაციას აუცილებლად თან ახლავს საბანკო დეპოზიტებზე სარგებლის შემცირება. ამიტომაც, დღეს საქართველოში დეპოზიტებზე და შესაბამისად სესხებზეც

■ სინგაპურის მთავრობა მშპ-ს მხოლოდ 20 პროცენტამდე ხარჯავს, ჩვენი მთავრობა – 30 პროცენტზე მეტს. სინგაპური ჩვენზე მეტად არის დამოკიდებული იმპორტირებულ საკვებ პროდუქტზე, მაგრამ 2010 წელს 15 პროცენტთან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია, ფასები კი მხოლოდ 3.8 პროცენტით გაიზარდა.



მაღალი საპროცენტო განაკვეთები. სესხზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი როგორც სამომხმარებლო, ასევე – ბიზნეს კრედიტებსაც ამცირებს.

მნიშვნელოვან რისკებს გრძნობენ ის უცხოური ფირმებიც, რომლებსაც საქართველოში ინვესტირება სურთ. ინფლაციური ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობა უცხოური ბიზნესისთვის არასასურველია.

როცა საქართველოში ფასები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ამას აუცილებლად მოჰყვება ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც უცხოელ ინვესტორებს კიდევ უფრო აფრთხობს. მაგალითად, უცხოელმა ინვესტორმა საქართველოში 1000 დოლარის ინვესტიციის ჩადება გადაწყვიტა. რადგან საქართველოში ლარი გადახდის ერთადერთი საშუალებაა, ინვესტორი დოლარს ლარით ახურდავებს. ვთქვათ, დახურდავების

მომენტში 1000 დოლარში ინვესტორმა 1800 ლარი აიღო და ბიზნესის კეთება დაიწყო. ჩადებული 1000 დოლარით 2000 ლარი იშოვა, ანუ 200 ლარი მოგება ნახა. გადაცვლის მომენტში კი ლარის კურსი გაიზარდა და 2000 ლარად ინვესტორმა ისევ 1000 დოლარი იყიდა, ანუ მისი მოგება კურსის მატებამ შეჭამა. ამდენად, თუ ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა, არსებობს ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი, რაც საქართველოს ინვესტირებისთვის ნაკლებმომგებიან ქვეყნად აქცევს.

როდესაც ინფლაცია ინვესტიციების შემცირებას იწვევს და ეკონომიკური ვარდნის საფრთხე ჩნდება, შეშინებული მთავრობები ხშირად მიმართავენ ეკონომიკის გარკვეული დარგების პროტექციას, რომ თავიდან აიცილონ უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. როგორც წესი, დარგების პროტექცია კაპიტალის არაეფექტურ გადახან-

ლებას იწვევს: კაპიტალი ხელოვნურად (სახელმწიფოს ჩარევით) ეფექტური დარგებიდან არაეფექტურ დარგებში გადადის, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის ზრდას აჩერებს, ან უკეთეს შემთხვევაში ანელებს. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება ამჟამად ხელოვნურად ცდილობს სოფლის მეურნეობის დარგების გაფართოებას.

როდესაც დეფიციტური ბიუჯეტის მქონე სახელმწიფო ინვესტიციებს თავად ახორციელებს, ამით იგი კომერციული ბანკების მიერ სესხების გაცემის შესაძლებლობას ზღუდავს. ბანკი სესხს კონკურენტულ საფუძველზე გასცემს ყველაზე მომგებიან პროექტებზე, რაც ნიშნავს, რომ მოგებას – ეკონომიკის მაქსიმალურად ზრდას – აფინანსებს. ხოლო სახელმწიფო ინვესტიციები არაკონკურენტულ საფუძველზე ხორციელდება და ხშირად პოპულისტურია. სახელმწიფო, მოსახლეობის გულის მოგების მიზნით, ფულს ისეთ პროექტებში დებს, სადაც ფულის ჩადების სურვილი კერძო სექტორს არ აქვს, შესაბამისად, არამომგებიანია. ასეთი პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს.

ფასების მთავალი დონის სტაბილურობისთვის აუცილებელია, ეროვნულმა ბანკმა არა სოფლის მეურნეობასა თუ მეკარტოფილეობას, არამედ ინფლაციის გამომწვევ რეალურ მიზეზს – ზედმეტად გაზრდილ ფულის მასას მიხედოს და სწორი მონეტარული პოლიტიკა გაატაროს. მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შეამციროს, მხოლოდ ასეა შესაძლებელი კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა.

თუკი რაიმეში უნდა მივბაძოთ სინგაპურს, პირველ რიგში – საბიუჯეტო და მონეტარულ პოლიტიკაში. სინგაპურის მთავრობა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 20 პროცენტამდე ხარჯავს, ჩვენი მთავრობა – 30 პროცენტზე მეტს. სინგაპური ჩვენზე მეტად არის დამოკიდებული იმპორტირებულ საკვებ პროდუქტზე, მათ შორის კარტოფილზეც, მაგრამ თანმიმდევრული მონეტარული პოლიტიკით 2010 წელს 15 პროცენტთან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია, ფასები კი მხოლოდ 3.8 პროცენტით გაიზარდა. ■



დაუსრულებელი მშენებლობა, თბილისი, 2011

ფოტო: ტიმოტი ბარნაზანი

"ლოხანუხი ჰომობეზი ყველაზე ეფექსუხად ლოხანუხად ბჰახდება"

ინტერვიუ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საქართველოში, ჯონ ბასთან

დემოკრატიული განვითარება იქნება თუ ეკონომიკური, ყველაფერი ქვემოდან, რეგიონებიდან უნდა დაიწყოს. მომავალი წლების განმავლობაში ჩვენც სწორედ აქ ვაპირებთ ჩვენი რესურსების დაბანდებას.

თქვენი თანამშრომლობა და მხარდაჭერა საქართველოს მიმართ დაფუძნებულია თუ არა დემოკრატიზაციის პროცესის ხარისხზე? აშშ-სთვის საქართველო დემოკრატიის გარეშეც თუ იქნება სახარბიელო პარტნიორი?

ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და ამ მხარდაჭერის მოცულობა, როგორც იცით, ასეთი სიდიდის ქვეყნის მიმართ საკმაოდ უჩვეულოა.

ამჟამად საქართველოში აშშ-ს დახმარების მაჩვენებელი, ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მხარდაჭერის ასეთ უპრეცედენტო დონეს აქაური საზოგადოების





ფოტო: ლევან ხარაბულაძე

პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობიდან დემოკრატიულ და განვითარებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ ტრანსფორმირება განაპირობებს. ამდენი ძალისხმევა საქართველოში სწორედ იმიტომ ჩავდეთ, რომ მან აიღო ეს ვალდებულება და საზოგადოებაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას კვლავაც საკმაოდ მონდომებულად აგრძელებს. ეს საკმაოდ რთულია. ამ მხრივ, ბოლო 6-7 წლის მუშაობა – ინსტიტუტების შექმნა, კანონების გადახედვა, რომლებიც, თავისთავად, აუცილებელი და არსებითი იყო, ამ ტრანსფორმაციის პროცესის შედარებით იოლი ნაწილია. გაცილებით რთულია და მეტი დრო სჭირდება იმის შეცვლას, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები და როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან.

ვფიქრობ, გასულ წელს ბევრმა შემთხვევამ ნათლად დაგვანახა სხვაობა ქართული საზოგადოების წარმოდგენებსა და რეალობას შორის დემოკრატიულ კულტურასთან მიმართებაში.

ხელისუფლებას ხშირად, განსაკუთრებით – ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრისას, სინგაპურის მაგალითი მოაქვს. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, დემოკრატიული სულაც არ არის. არის თუ არა დემოკრატია ის უპირველესი რამ, რასაც საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებისას ყურადღებას აქცევთ?

ვფიქრობ, რომ არის. თუ საქართველოში ფუნდამენტურად განსხვავებული მმართველობის მოდელი იქნება, ეს დიდ გავლენას მოახდენს იმაზე, თუ რას ჩავდებთ ქართულ საზოგადოებაში. თუ „ათასწლეულის გამოწვევის“ პროექტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს გადახედავთ, ძალიან მკაფიო კრიტერიუმებს და ნიშნულებს დაინახავთ, რომელიც დემოკრატიზაციისა და საკუთარ საზოგადოებაში ინვესტირებისადმი მთავრობის დამოკიდებულებას აფასებს.

ამ ეტაპზე რომელი ინსტიტუციური რეფორმა მიგაჩნიათ ყველაზე გადაუდებლად?

ეს რეფორმები, ძირითადად, მთავრობის ანგარიშვალდებულებას, გადანყვეტილებების მიღების გამჭვირვალობასა და ხელისუფლების ხალხთან ურთიერთობას ეხება.

მთავარი არის არა მხოლოდ მედია მესაკუთრეების, არამედ მედიის ლიცენზირების პროცესის დამატებითი გამჭვირვალობაც. შინაარსზე დაფუძნებული ლიცენზირება არ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის როლის ყველაზე შესაფერისი გამოხატულება. ასევე, ვფიქრობ, საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ იღებენ გადანყვეტილებებს ამა თუ იმ ახალი ამბის გადმოცემის ან არ-გადმოცემის შესახებ ძირითადი სამაუწყებლო კომპანიების პროდიუსერ-ხელმძღვანელები. მე, პირადად, ვისურვებდი უფრო მეტი კლასიკური საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნახვას, როცა ჟურნალისტებს საზოგადოების სხვადასხვა მოთამაშის საქმიანობა და მათ მიერ რესურსების ხარჯვის თაობაზე მიღებული გადანყვეტილებები სააშკარაოზე გამოაქვთ. ეს ამ თემებზე საჯარო დისკუსიას შეუწყობს ხელს. შეიძლება, ეს ყველაფერი ერთ დღეში მოხდეს? – არა! საქართველოში პოლიტიკური დისკუსიის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ამ პროცესს გარკვეული დრო სჭირდება და ეს თავისთავად, მოდერაციის გარკვეული ხარისხის გარეშე ვერ მოხდება.

მეორე საკითხი, ზოგად, საარჩევნო გარემოს ეხება. რამდენად აქვს საქართველოში არსებულ ყველა პარტიას იმის შესაძლებლობა, რომ სამართლიან კონკურენციაში ჩაებას იმისათვის, რომ მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში ხალხის მხარდაჭერა მოიპოვოს? ამაში შედის ფულის მოძიების შესაძლებლობა, რომ ბიზნესმენს ნებისმიერი კანდიდატისათვის თანხის მიცემა შიშის გარეშე შეეძლოს. აქვე იგულისხმე-

ბა მედია გარემო, რომელსაც უკვე შევეხეთ. აქ შედის ასევე პარტიების შესაძლებლობა, მოაწყონ შეხვედრები, აიყვანონ ახალი კანდიდატები და საქართველოს მასშტაბით გაავრცელონ საკუთარი იდეები და ღირებულებები, ისე და ისევე, ხელისუფლების ჩარევისა და მისი მხრიდან დასჯის შიშის გარეშე. ამავე საარჩევნო გარემოს ნაწილია არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე მკაფიო წარმოდგენის ჩამოყალიბება პროცესის წესების შესახებ.

ვფიქრობ, ამისთვის საქართველოში დარეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა აუცილებელი და იმის უზრუნველყოფა, რომ ამომრჩეველმა არჩევნებზე ხმა მხოლოდ ერთხელ მისცეს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით წელს და მომავალ წელს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება.

როგორ შეაფასებდით საკონსტიტუციო რეფორმას? ახალი კონსტიტუცია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებას რეალურად შეუწყობს ხელს თუ ფიქრობთ, რომ ეს რეფორმა დღევანდელი მმართველი გუნდის საჭიროებებზე უფროა მორგებული?

ეს რეფორმა წინ გადადგმული ნაბიჯი და გაუმჯობესებაა. უნდა მოვიცადოთ, ვნახოთ, როგორ განხორციელდება ცვლილებები სინამდვილეში. ეს კი, ნაწილობრივ, შემდეგი პარლამენტის შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული – რამდენად შეძლებს ის, აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველის ფუნქცია განახორციელოს და აამუშავოს კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი. ჩვენ ვენეციის კომისიის დასკვნას დიდწილად ვიზიარებთ.

თუ პრეზიდენტი საკაპშვილი 2013 წლის არჩევნების შემდეგაც დარჩა ხელისუფლებაში (ამჯერად – პრემიერ-მინისტრის პოსტზე), როგორი იქნება თქვენი რეაქცია?

მესმის თქვენი ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ დიპლომატიაში დიდი ხნის წინ ვისწავლე, რომ ჰიპოთეტურ კითხვებზე პასუხის გაცემა კარგი იდეა არ არის. ჩვენი ინტერესია, საქართველომ ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტები განავითაროს, რომელთა შორის ძალაუფლება სათანადოდ იქნება განაწილებული და ხალხს მთავრობის ნდობა ექნება. ინსტიტუტების გრძელვადიანი განვითარება კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ფორმის შენარჩუნება ერთ პიროვნებაზე აღარ იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ახალი თვალთახედვის, ახალი ენთუზიაზმის, ახალი დინამიზმის, პრობლემებზე ახალი შეხედულებისა და ახალი გამოცდილების შეტანა აუცილებელია. სწორედ ეს არის დემოკრატიის არსი და სწორედ ეს ხდება ახლა ჩვენთან – აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკას რომ შევეხეთ – ბელარუსის არჩევნებთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ „არჩევნები ძალადობით და გაყალბებით ჩატარდა“, ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ლუკაშენკოს გამარჯვება მიულოცა, როცა არჩევნების ოფიციალური შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. არის, ან უნდა იყოს თუ არა, სტრატეგიულ პარტნიორებს შორის საგარეო პოლიტიკის ასეთ პრინციპულ საკითხებზე გარკვეული კოორდინაცია?

ბევრ ქვეყანას, მათ შორის აშშ-სა და საქართველოს შორის მუდმივად მიმდინარეობს დიალოგი რეგიონში არსებული სახელმწიფოების შესახებ. რა თქმა უნდა, გარკვეული სხვაობა იყო ამ არჩევნების შედეგების შეფასებებისას. სჯობს, საქართველოს ხელისუფლების პირებს ჰკითხოთ, რატომ აირჩიეს მათ აშშ-საგან ან, მაგალითად, ეუთოსგან განსხვავებული მიდგომა. რამდენადაც მახსოვს,

ეუთოსა და ქართველი დამკვირვებლების დასკვნებში, საკმაოდ ბევრი მსგავსებაც იყო.

მსგავსი კითხვა მაქვს ირანთან დაკავშირებით: მაშინ, როცა აშშ მსოფლიოს ირანთან მიმართებაში ემბარგოს გამკაცრებისკენ მოუწოდებს, საქართველო, ირანთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, სავიზო რეჟიმს ამარტივებს და საზღვრის გახსნაზე საუბრობს. როგორ ხსნით სტრატეგიულ პარტნიორებს შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებში ამგვარ მნიშვნელოვან განსხვავებებს?

ამერიკის, ევროკავშირისა და გაეროს სანქციები იმ სფეროების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლის მეშვეობით ირანის ამჟამინდელი რეჟიმი ხელისუფლებას ინარჩუნებს. ეს რეჟიმი მიდიოდა და კვლავაც მიდის საერთაშორისო საზოგადოების ნების წინააღმდეგ, განაგრძობს ძალიან პროვოკაციულ მოქმედებას და ატომური იარაღის გაუზრცლებლობის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს. სანქციები რეჟიმის იმ წარმომადგენლების წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც ასეთ პოლიტიკას ატარებს და ასევე იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც მსგავსი პოლიტიკიდან სარგებელს ნახულობს და მხარს უჭერს მას.

რთული სათქმელია, ეხმარება თუ არა საქართველოს ნაბიჯი – ირანის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივება – ჩვენს მიდგომას. ერთი მხრივ, ირანის მოქალაქეებს ირანიდან გასვლის და მსოფლიოს შესახებ განსხვავებული აზრის გაგების საშუალებას აძლევს; მაგრამ მეორე მხრივ, თუ ეს რეჟიმის მსახურებს, საქართველოში ეკონომიკური აქტივობების განხორციელების გზით (რასაც გამარტივებული სავიზო რეჟიმი ხელს უწყობს) სანქციებისათვის თავის დაღწევის შესაძლებლობას მისცემს, ეს არ იქნება კარგი.

საქართველოს მთავრობასთან ამის შესახებ არაერთხელ მქონია საუ-

მთავარი არის არა მხოლოდ მედია მესაკუთრეების, არამედ მედიის ლიცენზირების პროცესის დამატებითი გამჭვირვალობაც. შინაარსზე დაფუძნებული ლიცენზირება არ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის როლის ყველაზე შესაფერისი გამოხატულება. ასევე, ვფიქრობ, საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ იღებენ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ ახალი ამბის გადმოცემის ან არ-გადმოცემის შესახებ ძირითადი სამაუწყებლო კომპანიების პროდიუსერ-ხელმძღვანელები.

ჩვენი ინტერესია, საქართველომ ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტები განავითაროს, რომელთა შორის ძალაუფლება სათანადოდ იქნება განანილებული და ხალხს მთავრობის ნდობა ექნება. ინსტიტუტების გრძელვადიანი განვითარება კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ფორმის შენარჩუნება ერთ პიროვნებაზე აღარ იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ახალი თვალთახედვის, პრობლემებზე ახალი შეხედულებისა და ახალი გამოცდილების შეტანა აუცილებელია. სწორედ ეს არის დემოკრატიის არსი.

ბარი. გამოვხატე ჩვენი შიში იმის თაობაზე, რომ მათ მიერ მიღებულმა მიდგომამ ამ მეორე უკიდურესობის სასარგებლოდ არ გადაინაცვლოს და ირანის მთავრობას ცხოვრება არ გაუადვილოს. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ საქართველო ამ რეგიონშია და მეზობელ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობა სჭირდება. ვიცით, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ირანმა საერთაშორისო სანქციები და ატომური იარაღის გაუზრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გააცნობიეროს. ასე რომ, საუბარს ამ თემაზე განვაგრძობთ.

შეერთებული შტატების დიპლომატიური ფოსტის გასაჯაროების შემდეგ, ოფიციალური პირები და ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებდა, რომ ეს აშშ-ს პოზიციას და მის საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვნად დაასუსტებდა. როგორია „ვიკილიქსის“ თქვენეული შეფასება? მართლა დაასუსტა თუ არა ამ მოვლენამ შეერთებული შტატები?

ამ დოკუმენტების ცალკეული ნაწყვეტების კომენტარების გარეშე, ვფიქრობ, მთელმა ამ პროცესმა დიპლომატიას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. არამხოლოდ აშშ-ს დიპლომატიას, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანას. დეფინიციის თანახმად, დიპლომატია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბიზნეს-ტრანზაქცია, ან ორ ადამიანს შორის ნებისმიერი ურთიერთობა, მოითხოვს ნდობას და იმის ცოდნას, რომ გარკვეული საკითხების კონფიდენციალურად განხილვა შესაძლებელია. როცა მესამე მხარე ამ ნდობას შელახავს, ამას სხვა არაფერი მოაქვს, თუ არა პრობლემების ალტერნატიული, ინოვაციური გზებით გადაწყვეტისაგან თავის შეკავება. ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები გულისხმობს ნაბიჯებს, რომელიც მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ შეიძლება, პიროვნულად ან პოლიტიკურად სარისკო იყოს ამ წუთას.

ნდობის დარღვევა ასევე ცუდია იმ ადამიანებისათვის, ვინც საკუთარ საზოგადოებაში გარკვეული ცვლილებების შეტანას ცდილობს, განსაკუთრებით იქ, სადაც სიტყვის და შეკრების თავისუფლება შეზღუდულია. შესაბამისად, ახლა მათ საკუთარი საზოგადოების მიღმა მყოფებთან თავისუფლად საუბარი და მათთვის დახმარების თხოვნა აღარ შეუძლიათ. ეს არავისთვის არის კარგი.

„ვიკილიქსმა“, თქვენი, როგორც დიპლომატიის ცხოვრებაზე თუ მოახდინა გავლენა? რამდენად შეცვალა მან თქვენი მუშაობის არსი?

ირიბი გავლენა მოახდინა იმაზე, თუ როგორ ვსაუბრობთ საქართველოში გარკვეულ ადამიანებთან. მე პირადად მქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ვიგრძენი, რომ ახლა ადამიანები ჩვენთან ურთიერთობას განსხვავებულად აღიქვამენ. ეს ნამდვილად შემამოთხვებელია.

როგორც ყოფილი ჟურნალისტი, თუ ამას მეორე მხრიდან შეხედავთ, როგორ შეაფასებდით ამ ინფორმაციის მნიშვნელობას? როგორ ფიქრობთ, მოქალაქეებმა ახლა უფრო მეტი იციან რეალური პოლიტიკის შესახებ, ვიდრე მანამდე? როგორ ფიქრობთ, ამ ინფორმაციის გაჟონვამ მოქალაქეებს რამე სარგებელი თუ მოუტანა?

უნებლიე შედეგი არის იმის გაზრება – და ეს ბევრი ჟურნალისტისგან მოვისმინე – რომ ის, რასაც შეერთებული შტატები საჯაროდ ამბობს, დიდწილად ემთხვევა მის მიერ კერძო საუბრებში გამოთქმულ პოზიციებს. შეიძლება ყველაფერი, რასაც თვალს მიღმა ვაკეთებთ, საჯაროდ არ გამოვიტანოთ, მაგრამ ხალხმა გაიგო, რომ თანმიმდევრულები ვართ. ეს შეიძლება უნებლიე პოზიტიური შედეგი იყოს. თუმცა, ეს ჰიპოთეზა სულაც ვერ გადანონის მოყენებულ ზიანს. მათ შორის იმ ფაქტს, რომ ბევრი ადამიანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მაგრამ მსგავსი კონკრეტული შემთხვევის შესახებ არაფერია ცნობილი...

ვფიქრობ, დასკვნის გაკეთება მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ მსგავსი შემთხვევა საჯაროდ არ გაჟღერებულა, არ შეიძლება. გაიხსენეთ, საფრთხეში მყოფთაგან ბევრი არალიბერალურ, ავტორიტარულ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება, ჯერ კიდევ არ ვიცოდეთ, რა ზეგავლენა მოახდინა ინფორმაციის გაჟონვამ ადამიანებზე, ან ემუქრება თუ არა მათ საფრთხე.

კერძო საუბრებშიც და საჯაროდაც საქართველოში მედიის მდგომარეობის შესახებ თქვენ საკმაოდ მკაცრ და ძალიან კონკრეტულ შეფასებებს აკეთებთ. თქვენ თქვით: „ამ ქვეყანაში მთავრობისა და ბიზნესის გადაკვეთა შეიძლება, დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ხელისშემშლელი იყოს.“ საქართველოს ხელისუფლებასთან საუბრისას ამ პრობლემებზე თუ ამახვილებთ ყურადღებას და რა პასუხს იღებთ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვმარტო, რომ მე ვსაუბრობდი არა ფაქტზე, არამედ იმ წუხილზე, რაც ბევრი ქართველისგან მოვისმინე. ხელისუფლებასა და საქართველოს კერძო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელს შორის ურთიერთობა ბოლომდე გამჭვირვალე არ არის. ამიტომ, რთულია, ამ ურთიერთობის რეალური ხასიათი გაარკვიო. ამის შესახებ ყველა ქართველ ჩინოვნიკს ველაპარაკები. ჩვენი საუბარი ქვეყანაში პროგნოზირებადი, გამჭვირვალე ბიზნეს გარემოს შექმნას ეხება. ეს აუცილებელია, თუ საქართველოს სურს, დასახულ მიზანს მიაღწიოს და დასავლეთიდან და ისეთი სახელმწიფოებიდან, როგორცია იაპონია, კორეა და ინდოეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიიზიდოს. გადანყვევტილებას ინვესტორები

ჯიბით იღებენ, ისინი ფულს იქ აბანდებენ, სადაც მათ ბიზნეს შესაძლებლობის გამოყენება შეეძლება და გადასახადების ან რეგულაციების შესახებ კაპრიზული გადაწყვეტილებების მსხვერპლი არ გახდებიან, ან არასამართლიანი კონკურენციის პირობებში არ აღმოჩნდებიან იმის გამო, რომ ბაზარზე რეგულაციები და წესები ვინმესთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით უცებ შეიცვალა. საქართველომ ასეთი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ, ვფიქრობ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ვიცი, რომ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მედიის განვითარებისათვის დიდი თანხა აქვს გამოყოფილი. თქვენი აზრით, მედიის დახმარებისათვის რა შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტური?

მედიის სფეროში ორ გამოწვევას ვხედავ – ერთია ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია და მეორეა მედია, როგორც ბიზნესი. ჩვენ ვცდილობთ, მედიას ამ ორივე გამოწვევის გამკლავებაში დავეხმაროთ, რადგან ერთი მეორესთან არის დაკავშირებული. თუ მედია შემოსავლიანი არ არის, ჟურნალისტიკი ვერ მიიღებენ ისეთ ხელფასს, რაც ამ პროფესიას მიმზიდველს გახდის. ეს კი კარგი ჟურნალისტების მოზიდვას და შენარჩუნებას შეუშლის ხელს.

საქართველოში მედიაბაზარი მცირეა, მაგრამ, ამავედროულად, ძალიან მრავალფეროვანი. ბევრი პატარა სემენტი ძალიან სპეციფიკური ინტერესებითა და პერსპექტივებით. ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ ისაა, რომ გამოვნახოთ გზა, რომელიც ამ პატარა რეგიონულ მედია ბაზრებს რეკლამის მოზიდვისათვის საჭირო რესურსების და მკითხველთა წრის გაფართოების საშუალებას მისცემს.

კვლავაც მაოცებს არაცნობის-მოყვარე ჟურნალისტების რაოდენობა, რომლებსაც საქართველოში ვხვდები. ისინი ასრულებენ დავალებას,

აშუქებენ ღონისძიებას, რამდენიმე ბანალურ შეკითხვას სვამენ, მაგრამ რეალურად არც კი უფიქრდებიან ამ მოვლენას, ვერ ხედავენ მას ფართო კონტექსტში. ეს, ნაწილობრივ, შესაფერისი მომზადების ნაკლებობის შედეგია, მაგრამ ასევე ჟურნალისტების უკან მდგარი პროდიუსერების „დამსახურებაცაა“, ვინც მათ სიუჟეტის მომზადებისას აქცენტებს წინასწარ უსაზღვრავს.

ხშირად არასწორად მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება მხოლოდ ხელისუფლების საქმეა და დანარჩენები შემფასებლებისა და დამკვირვებლების როლში უნდა ვიყოთ. თქვენ მუდმივად ხვდებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს. სად ხედავთ ყველაზე დიდ პოტენციალს განვითარებისათვის და როგორ აფასებთ სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობას დემოკრატიზაციის პროცესში?

თქვენს კითხვაში გამოჩნდა დემოკრატიული კულტურის დამკვიდრების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა. გეთანხმებით, ძალიან ბევრია მოლოდინის რეჟიმში მყოფი, პასიური ადამიანი. ისინი ფიქრობენ, რომ მათი როლი პრობლემების იდენტიფიცირება და პრობლემების მოგვარების მოთხოვნაა. თუ ეს პრობლემები არ გვარდება, ისინი ხელისუფლებაზე ბრაზდებიან. ნამდვილად არის იმის საჭიროება, რომ საქართველოში განვითარდეს სამოქალაქო ცნობიერება, რათა ადამიანებმა გაიაზრონ, რომ ლოკალური პრობლემები ყველაზე ეფექტურად ლოკალურადვე გვარდება. ამასაც დრო სჭირდება. დემოკრატიული განვითარება იქნება თუ ეკონომიკური, ყველაფერი ქვემოდან, რეგიონებიდან უნდა დაიწყოს. მომავალი წლების განმავლობაში ჩვენც სწორედ აქ ვაპირებთ ჩვენი რესურსების დაბანდებას. ■

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი.



ფოტო: ირაკლი ლავანტიანი

PIK-ის ახალი ამბების სტუდია, 26 იანვარი 2011

PIK - ახალი ახი ძველი ჰობლებით

სარეზერვო ფონდიდან მიღებული 14 მილიონისა და პრეზიდენტის გარანტიების ფონზე, PIK-ს მთავარი მიზნის – ობიექტურობის მიღწევა კიდევ უფრო გაურთულდება.

ნანა საჯავია

ოცამდე ლამენათევი ჟურნალისტი ახალი ამბების სათათბირო ოთახში შუადღის თორმეტი საათისთვის რიგ-რიგობით შედის. ოთახის ერთ კუთხეში ერთჯერადი ჭიქებით სავსე მუყაოს ყუთი დევს, კედელზე კავკასიის დიდი რუკა ჰკიდია, მეორე კედელზე გაკრულ ფურცელზე კი გადაღებული მასალის კომპიუტერში შენახვის წესებია ჩამოთვლილი, „დაუმორჩილებლობა ისჯება ხელფასის ჩამოჭრით“, – წერია სის ბოლოს.

პროდიუსერს გასაშუქებელი თემების ჩამონათვალი შემოაქვს და ჟურნალისტებთან და საინფორმაციო სამსახურის უფროსთან ერთად დღის თემებს განიხილავს. „ოპერატიულობა არის ჩვენი მთავარი პრინციპი“, – ამბობს პროდიუსერი ხათუნა სალინაძე და ამ პრინციპით ანანილებს ჟურნალისტებს თემების გასაშუქებლად. „დომოდედოვოს“ აეროპორტის ტერაქტის გაგრძელება, ჩრდილოეთ კავკასიიდან გაქცეული ქალის მოსკოვ-

ში დეპორტირების საკითხი, მთავრობის სხდომა, საერთაშორისო ამბები და სპორტი.

დღის გასაშუქებელ ამბებში ხვდება ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი – გულიტი – გროზნოს საფეხბურთო კლუბ „ტერეკის“ მწვრთნელი ხდება.

– ჩეჩნური გუნდი „ტერეკი“ თუ რუსული გუნდი „ტერეკი“? – კითხულობს ჟურნალისტი.

– ჩეჩნურს სეპარატისტული დატვირთვა აქვს, სჯობს, რუსული ვიხმაროთ, – პასუხობს პროდიუსერი და ამით საღამოს საინფორმაციო გამოშვების დაგეგმვა მთავრდება.

„ეს ტელეხიდი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ცნობადობა გაცილებით უფრო დაბალი იქნებოდა. ამ პროექტმა მოულოდნელი რეკლამა გაგვინია. საქართველოში, ყველგან ჩვენი ლოგო იყო, ახლა ყველამ იცის ჩვენი არხი“, – ასე იხსენებს საზო-

გადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი „პირველი საინფორმაციო კავკასიური“ არხის (PIK-ის) პრემიერის დღეს გენერალური დირექტორი რობერტ პარსონსი.

თუმცა, პარსონსი ამბობს, რომ მაუწყებლობის გახსნა პრეზიდენტის ტელეხიდით უშუალოდ არხის ადმინისტრაციის იდეა არ ყოფილა: „ეს იდეა, როგორც მე ვიცი, მთავრობის ინიციატივა იყო, დეტალები არ ვიცი... ალბათ, პრეზიდენტს უნდოდა ჩვენი რეკლამა, ერთი მხრივ, ძალიან ემპაფილი ვარ იმიტომ, რომ მართლა მაგარი რეკლამა იყო“.

PIK-ი ეთერში პირველად 25 იანვარს გავიდა, პროექტით – „პრეზიდენტი პასუხობს ხალხის შეკითხვებს“.

ტელეხიდზე, რომელიც PIK-ის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „რუსთავი 2-ის“ ეთერში ერთდროულად გადაიცემოდა, სამივე ტელეკომპანიის თანამშრომლები მუშაობდნენ. PIK-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის და



ოლეგ პანფილოვი საავტორო გადაცემის ჩაწერის დროს, 26 იანვარი 2011

ტელეხიდის ერთ-ერთი წამყვანის, ეკატერინე კოტრიკაძის თქმით, იმის გამო, რომ მათ არხს მცირე ტექნიკური რესურსები აქვს, ტელეხიდის ეთერში გასვლა „რუსთავი 2-მა“ უზრუნველყო.

კოტრიკაძე გადაცემით კმაყოფილია და კოლეგებს პირად ნომერზე მიღებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უზიარებს: „მაგრები ხართ, ასე გააგრძელეთო, მწერენ. ტელეკომპანია „ინტერმა“ დამირეკა გუშინ, „როიტერმა“ დარეკა და მოგვილოცა. ძალიან ბევრი უცხოური გამოცემა გამოგვეხმაურა“, – ამბობს კოტრიკაძე.

მართლაც, მხოლოდ ტელევიზიის ინტერნეტგვერდზე გადაცემას იმ დღეს 10 ათასმა მაყურებელმა უყურა, მაყურებელთა 37 პროცენტი რუსეთიდან შემოვიდა, აქტიურობდნენ გერმანიიდან და უკრაინიდანაც.

ვიდრე ტელეხიდი დაიწყებოდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა არხს „მნიშვნელოვანი ხალხის მნიშვნელოვანი ინიციატივა“ უწოდა და ტელევიზიას „სრული მხარდაჭერისა და სრული თავისუფლების გარანტია“ მისცა.

მთავრობისგან გარანტიების მიღება, „ლიბერალთან“ ინტერვიუში რობერტ პარსონსმაც დაადასტურა. როგორც თავად აღნიშნა, სარედაქციო დამოუკი-

დებლობაში ჩაურევლობაზე გარანტიები მან მინისტრებისგან მიიღო:

„მივიღე სიტყვიერი გარანტიები, რომ შემიძლია, ვმართო ტელევიზია ისე, როგორც ეს მე მინდა. თუ არადა, ყოველთვის არსებობს გამოსავალი, ვიყიდი ბილეთს და სახლში გავფრინდები“.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებისგან პირდაპირ გაცხადებულმა მხარდაჭერამ და მაუნყებლობის პირველ დღეს ეთერში პრეზიდენტის გამოჩენამ, არხის მიმართ ნინასნარი განწყობები უკვე შექმნა. რობერტ პარსონსიც იხსენებს, რომ პირველი ეთერის შემდეგ, არხის სარედაქციო დამოუკიდებლობის შესახებ ბევრი კითხვა გაჩნდა.

ეს ლოგიკურია. იმ აუდიტორიისთვის, ვისთვისაც არხი მაუნყებლობს, საქართველოს ხელისუფლების სრული მხარდაჭერა, სრულ თავისუფლებას არ ნიშნავს. თუმცა პირადად პარსონს ეს დიდ პრობლემად არ მიაჩნია: „ხალხის აზრი ჩვენს არხზე იმით არ ჩამოყალიბდება, რომ ეთერი პრეზიდენტის სიტყვით დავიწყეთ, არამედ ჩვენი გადაცემებით და ახალი ამბებით“.

ტელევიზიის გაცხადებული მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის საინფორმაციო მონოპოლიის დარღვევა და ალტერნატივის შექმნაა. მსგავსი პოლი-

ტიკის გამო არხი შეიძლება მისი წინამორბედი, „პირველი კავკასიურის“ მსგავსად, საქართველოს მთავრობისადმი ლოიალურ და პროპაგანდისტულ არხად აღიქვან.

„არხი კარგი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის განონასწორებელი წყარო იქნება რუსულენოვანი მოსახლეობისთვის, როგორც საქართველოში, ასევე კავკასიაში... მაგრამ პროპაგანდა თუ შეეტყობა, დაკარგავს მაყურებელს. არხი უნდა იყოს კრიტიკული იმის მიმართაც, რაც საქართველოში ხდება“, – ამბობს პოლიტილოგი ალექსანდრე რონდელი, რომელიც ტელევიზიაში ქართულ-რუსული ომის დროინდელ პროპაგანდაზე სასაუბროდ მიიწვიეს.

„ჩვენ არ უნდა გავახართ ის ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ პროპაგანდით დავკავდებით. გამონვევა ის არის, რომ ოქროს შუალედი დავიცვათ, რათა არც ერთ მხარეს არ აღმოვჩნდეთ“, – ამბობს ჟურნალისტი მართა არდაშელია, რომელიც ПИК-ამდე რუსულენოვან „ალანიაში“ მუშაობდა.

ПИК-ზე დღეს ორასამდე თანამშრომელი მუშაობს, საინფორმაციო განყოფილების ჟურნალისტების უმრავლესობა ტელევიზიაში „პირველი კავკასიურიდან“ გადმოვიდა.

ტელევიზიის მენეჯმენტის პრიორიტეტი არხის ტექნიკური აღჭურვა და თანამშრომლების გადამზადებაა. ახალი ეთერის დასაწყებად მენეჯმენტი ნახევარ წელიწადს ემზადებოდა. ამ ხნის განმავლობაში ტელევიზიამ სახელმწიფო რეზერვიდან 14 მილიონი ლარი მიიღო. გენერალური დირექტორის თქმით, თანხა მთლიანად დახარჯულია, მომავალი წლის ბიუჯეტი კი უცნობია.

მთავრობის გარანტიები და სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი მილიონები დღეს რობერტ პარსონსს წარმატებული ტელეარხის გაკეთებაში ეხმარება. თუმცა სწორედ ეს ართულებს მისი და ПИК-ის მთავარ მისიას, საქართველოსა და კავკასიის შესახებ ობიექტური ინფორმაცია გაავრცელოს ისე, რომ კრემლის ინგლისურენოვან არხ „Russia Today“-ს არ დაემსგავსოს. ■

დევენილას გამოსახლება

დავინყოთ სსოვჩება თაჰიდან. დუბი 2

დევენილთა გასახლების პროცესში ახალი შეუსაბამობები იკვეთება.

მაია ნიკლაური

ცხინვალიდან დევენილი დათაშვილების ექვსსულიანმა ოჯახმა ბარგი უკვე შეკრა და ახლა გასახლებას ელიან.

ლეიბები, საბნები, ტანსაცმელი, ჭურჭელი და ის, რაც ყოველდღიურად არ სჭირდებათ, ფუთებსა და ჩანთებშია განანილებული. ყველაფერი ერთად, უზნაძის ქუჩაზე, „საქენერგოს“ ყოფილი შენობის მეორე სართულზე, მათი ბინის შესასვლელში აწყვია.

„ზამთრისთვის მომზადებული კონსერვის ქილები ნათესავეებთან წავიღეთ, გასახლების დროს პოლიციამ რომ არ გაგვიტეხოს. ახლობლებმა გვითხრეს, ნივთებს პირდაპირ ყრიან მანქანებში, ზოგმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა“, – ამბობს ოჯახის დიასახლისი ლია ხშიადაშვილი.

პოლიციის გამოჩენას ბარგშეკრული ელის ამავე მისამართზე მცხოვრები სხვა 18 ოჯახიც.

„ჩვენ ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა გავესახლებინეთ. მაგრამ უკვე თვეზე მეტია, სამინისტროდან არავინ დაგვკავშირებია. როგორც წესი, წინა ღამით აფრთხილებენ ყველას, ალბათ, მალე ჩვენთანაც მოვლენ“, – ამბობენ დევენილები.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის დასაწყისში თბილისში დევენილთა სულ 22 დროებითი თავშესაფარი იყო. ამ ობიექტების დაცლა 20 იანვარს ბაგების სტუდენტალაქიდან დაიწყო. ბოლო მონაცემებით, უკვე ოც მისამართზე დევენილები აღარ ცხოვრობენ.

დარჩენილი 2 ობიექტიდან კი ერთ-ერთში – სამღერეთის ქუჩა №13-ში მცხოვრებ დევენილებს გასახლება მისამდე გადაუჯადეს. ეს შენობა სასულიერო სკოლა-პანსიონს ეკუთვნის, იქ მცხოვრებ დევენილებს კი თბილისში დარჩენის ნება სამინისტრომ საპატრიარქოს თხოვნით მისცა. უზნაძის ქუჩაზე მცხოვრებთა ბედი კი, ჯერჯერობით, გაურკვეველია.



დათაშვილების ოჯახმა არ იცის, როდის გასახლებენ, პოლიციელების და სატიერთო მანქანის გამოჩენას ისინი ყოველდღე ელოდებიან, უზნაძის ქუჩა, „საქენერგოს“ ყოფილი შენობა, 26 იანვარი 2011

ფოტო: მხარას შინაგარეო

იანვარში დროებითი თავშესაფარი თბილისში სულ 600-მდე ოჯახმა დატოვა. მათ უმრავლესობას სამინისტრო ახალ საცხოვრებელს კახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელოში სთავაზობდა. კობა სუბელიანის განცხადებით, სამინისტროს წინადადებას 5 ოჯახი გამოეხმაურა და ბაკურციხეში ყოფილი პროფსასწავლებლის გარემონტებულ

შენობაში დასახლდა. რამდენიმე ოჯახი – წინწყაროში, რამდენიმე კი ფოცხოში ცხოვრებას დათანხმდა. დანარჩენმა დევენილებმა ან ნათესავეებს შეაფარეს თავი თბილისში, ან ბინა იქირავეს.

ამაზე უფრო ზუსტ სტატისტიკას იმის შესახებ, იანვარში რომელ რეგიონში რამდენი ოჯახი განაწილდა, რამდენმა აიღო

კომპენსაცია, რამდენი დარჩა თბილისში ქირით, ანდა ნათესავთან, არც არასამთავრობო ორგანიზაციები ფლობენ და რიცხვს არც სამინისტრო ასახელებს.

სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ყველა, ვინც საცხოვრებელ ფართზე უარი თქვა, ფულადი კომპენსაციით უკვე დააკმაყოფილეს.

„გვაქვს შემთხვევები, როდესაც ოჯახები ხელოვნურად იყოფიან და ასე ცდილობენ, მიიღონ თითო ოჯახზე გამოყოფილი დახმარება რამდენჯერმე, ანუ 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ასეთ მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ“, – აცხადებენ სამინისტროში.

თუმცა განსხვავებულ ინფორმაციას ფლობს სახალხო დამცველის აპარატი. მათი ინფორმაციით, არის შემთხვევებიც, როცა სამინისტრო ორ დამოუკიდებელ ოჯახს ერთად არეგისტრირებს – მაგალითად, აერთიანებს მამისა და შვილის ოჯახებს, რომლებიც კონფლიქტამდე ცალ-ცალკე

ოთხსულიან ოჯახსაც. ნიკა მშობლებთან და ძმასთან ერთად დროებით ნათესავებთან თბილისში ცხოვრობს. ფოცხოში წასვლაზე მათაც უარი თქვეს. კოდორიდან დევნილ გერლიანებს სამინისტროში უთხრეს, რომ ჯერჯერობით საცხოვრებელი ფართები არ აქვთ და „თუ რამე გამოჩნდება“, შეატყობინებენ.

მათ, ვინც საცხოვრებელი ფართი უკვე მიიღო, ახალი პრობლემები გაუჩნდათ. ბაკურციხის დასახლებაში მცხოვრები დევნილები სულზე 22-ლარიანი დახმარების ანაბარა არიან დარჩენილი. მას მერე, რაც ფართს დაუკანონებენ, ეს ოჯახები კომუნალურ გადასახადებზე დაწესებულ შეღავათებსაც ვერ მიიღებენ.

განსახლების სამოქმედო გეგმაში ნერია, რომ დევნილებისთვის მიწების გადაცემა, ან დასაქმება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. სამინისტროში ახლა აცხადებენ, რომ მალე დაეხმარებიან ყველას, ვისაც სურვილი აქვს, მიწა დაამუშაოს, ან საქონე-

მეურნეო დანიშნულების მიწების გამოყოფა, დასაქმების პერსპექტივის გაჩენა, ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობა და შემდეგ დაიწყო დევნილთა განსახლების პროცესი. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. სამინისტრომ დასაქმებასა და მიწების გადაცემაზე მხოლოდ ახლა დაიწყო ლაპარაკი, – ამბობს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, სოფო ბენაშვილი.


„გამოსახლების ეს პროცესი სამოქმედო გეგმას მონყვეტილია იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყო აბსოლუტურად ფორსმაჟორული სიტუაცია. არსებობს გეგმა, რომელსაც სამინისტრო მეტ-ნაკლები წარმატებით მიჰყვება და არსებობს ფორსმაჟორი, რომელიც გამოიწვია იმან, რომ მესაკუთრემ შენობის გამოთავისუფლება მოითხოვა. ანუ, სამინისტროს არ დარჩა საკმარისი დრო, რომ ეს ყველაფერი გაეთვალისწინებინა. თუმცა, ფაქტია, როცა დევნილს სთავაზობ კონკრეტული ადგილის გათავისუფლებას, მას უნდა შეუქმნა ყველა პირობა და მისცე არა მხოლოდ ჭერი“, – განმარტავს დანიის დევნილთა საბჭოს წარმომადგენელი, ელისო ჩაბარავა.

წინა კვირას დაახლოებით 150-მდე დევნილმა თავშესაფარი გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოებს სთხოვა.

„საქართველოში თავს ვგრძნობ დამცირებულად და უსახლკაროდ. გვეონია, რომ აქ არავის არაფერში ვჭირდებით. მიწა, სასიცოცხლო წყარო სხვა ქვეყანაში მოვძებნო“, – აცხადებს გაგრიდან დევნილი მერი მალანია.

დევნილთა სამოქალაქო საზოგადოებაში განცხადებებს თავშესაფრის მოთხოვნით სხვა საელჩოების სახელზეც წერენ. დაახლოებით, ორასამდე განაცხადის შეტანას დევნილები ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებშიც გეგმავენ.

„– სად ჩავწერო? ამერიკაში? – არა, ამერიკაში რა მიწა, მაგ სიმორეზე?! ინგლისში ჩამწერე“, – მსგავსი დიალოგი შეიძლება დევნილთა ნებისმიერ აქციაზე მოისმინოთ.

„ინგლისის“ გრაფაში იმა გუჯეჯიანი ორმოცდამეათეა. 

სტატიაზე მუშაობდნენ: ეკა ქითანავა, ლიკა ზაკაშვილი.

„აქ თავს ვგრძნობ დამცირებულად და უსახლკაროდ. მიწა, სასიცოცხლო წყარო სხვა ქვეყანაში მოვძებნო“, – აცხადებს გაგრიდან დევნილი მერი მალანია.

იყვნენ დარეგისტრირებული და მათ ორის ნაცვლად ერთი ოჯახისთვის გათვალისწინებულ დახმარებას აძლევს.

სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კომპენსაცია უკვე მიიღო ყველა იმ დევნილმა, ვინც მათ მიმართა და ვისაც ეს ეკუთვნოდა, დევნილები აპროტესტებენ. მათი ნაწილი ირწმუნება, რომ სამინისტროს კომპენსაცია მოსთხოვეს, მაგრამ ჯერ არაფერი მოუღიათ.

„ბაკურციხეში და ხონში გადასვლას ვარჩიეთ, ბინა რუსთავეში დაგვექირავებინა. მეუღლე თბილისში მუშაობს და აქედან შორს წასვლა მისთვის სამსახურის დაკარგვას ნიშნავს. მით უმეტეს, რომ განცხადება კომპენსაციის მოთხოვნით უკვე დაწერილი გვაქვს და ველოდებით. თუმცა, სამინისტროს ჯერ არც თანხა და არც სხვა საცხოვრებელი ფართი არ შემოუთავაზებია“, – ამბობს კოდორიდან დევნილი ნადია კაბულოვი.

კომპენსაცია არ აუღია ნიკა გერლიანის

ლი იყოლიოს და დასაქმდეს. თუმცა, ამაზე უფრო კონკრეტულ წინადადებებს სამინისტრო დევნილებს ჯერ არ სთავაზობს. დევნილები კი აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიებს ჰყვებიან.

„მთავრობას ვთხოვეთ, ჩვენი კორპუსების ტერიტორიაზე არსებული მიწა დაგვიკანონოს, მაგრამ უარს გვეუბნებიან“, – ამბობენ ბაკურციხის დასახლებაში მცხოვრები აფხაზეთიდან და კოდორიდან დევნილები.

წინწარში გადასახლებული 11 ოჯახი კი გაუსაძლის პირობებზე ჰყვება. თბილისიდან სულ 50 კილომეტრით დაშორებულ დასახლებაში მათ არც ელექტროენერგია და არც გაზი დახვდათ. შუშა და შუშის ლუმელები მეორე დღეს მიუტანეს. ერთ-ერთი ოჯახი კი გაუსაძლისი პირობების გამო, შეთავაზებულ ბინაში ღამეს საერთოდ ვერ ათევს.

„უბრალო მენეჯმენტის საკითხია, რომ ჯერ ყველა წინაპირობა უნდა მოავაგრო, მაგალითად, ისეთი, როგორც სახლების ადეკვატური გარემონტება, სასოფლო-სა-

აფეთქება ტყიბჯინის მალახოში

მემახტეები ითხოვენ, რომ პასუხისმგებლობა, უკვე დაკავებულ ექვმიტანილებთან ერთად, მათმა ზემდგომმა სპეციალისტებმაც გაიზიარონ.

ცირა გვასალია



ა. მინდელის სახელობის მალაროს ადმინისტრაციული კომპლექსი, ტყიბული, იანვარი 2011

ფოტო ცირა გვასალია

რკინის მესერს მიღმა ცისფრად გადაღებილი ოთხსართულიანი შენობა, ატალახებული ეზო, საბჭოთა წარმოების ნითელი ამწეები და ტრაქტორები ჩანს. საცალფეხო ბილიკი, ბეტონის რამდენიმე საფეხურით, საერთო საცხოვრებლის ეზოში ადის.

რკინის, ღია ვაგონზე ყვითელკომბინეზონიანი მუშები დგანან. ვაგონი მთავარ შენობაში შედის და მუშებიც ქრებიან.

ამაზე მეტის დანახვა ტყიბულში, ალექსანდრე მინდელის სახელობის მალაროში მისულ ჟურნალისტს ეკრძალება. სიტუაცია საგანგებოა. დაცვის წარმომადგენელი აცხადებს, რომ დირექტორი, ვალერი კუხალაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფება, დირექციის სხვა

ნევრები კი პრესასთან საუბარზე უარს ამბობენ.

მინდელის სახელობის მალარო, რომლის განვითარებაშიც 2006 წელს შპს „საქნახშირმა“ 30-მილიონიანი ინვესტიცია ჩადო, ის ადგილია, სადაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამი აფეთქება მოხდა და სამივე მსხვერპლით დასრულდა.

ბოლო ინციდენტის დროს, 22 იანვარს, 1 ადამიანი დაიღუპა და 4 დაშავდა. წინა შემთხვევების მსგავსად, ახლაც, აფეთქება მალაროში ქიმიური ნივთიერება მეთანის ზედმეტი დოზის დაგროვებამ გამოიწვია. უკვე დაკავებულია ორი ექვმიტანილი: მინდელის მალაროს მესამე უბნის უფროსის მოადგილე გიორგი დედარიანი და სავენტილაციო უბნის

უფროსის მოადგილე ედემ სტურუა. ამ ორ ადამიანს პირდაპირ ევალუბოდა, რომ მეთანის კონცენტრაცია ჰაერში დასაშვებ ნორმაზე მეტი არ ყოფილიყო.

თუმცა გამოძიების ობიექტურობაში მალაროელებს ეჭვი შეეკეტ. მათი ერთდლიანი გაფიცვა 26 იანვარს დაიწყო და მომდევნო დღეს დასრულდა მოთხოვნათა 10-პუნქტიანი წერილის შედგენით.

„ჩვენ არ ვენდობით გამოძიებას, მისი ობიექტურობის არ გვჯერა. წინა ორი აფეთქების დროს არავინ დასჯილა. ახლა მოვითხოვთ, რომ ამ ორი ადამიანის გარდა, სხვა დამნაშავეებიც დააკავონ და დასაჯონ“, – აცხადებს მალაროელთა პროფკავშირის უფროსი, გიორგი ბაბუხაძე.

„წინა შემთხვევების დროს ყველაფერი მუშებს დააბრალეს და დასკვნაში დანე-

რეს, რომ მემსხტეებმა ლიად დატოვეს გაურემონტებელი ელექტროძრავი, რის შემდეგაც მეთანი ძრავთან მოვიდა და აფეთქდა“, – ამბობს ვიქტორ დოლიძე, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების შრომის მთავარი ტექნიკური ინსპექტორი. „მიცვალელებს აბრალევენ ყველაფერს – ჩვენს შემთხვევამაც ასე მოხდა“, – დასძენს ლევან ქურციკიძე, რომელიც

ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებმაც ვენტილაციის სისტემა გამორთეს და ფულის ეკონომია საკუთარი თანამშრომლების სიცოცხლის ხარჯზე გააკეთეს“, – განაცხადა სააკაშვილმა 24 იანვარს და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა.

იანვარში მომხდარმა აფეთქებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მსხვილი ინვესტი-

ჩანს, მათთვის პრობლემაა ყველაფერი – ახალი სამუშაო ტანსაცმლითა და ეკიპირებით დაწყებული, უსაფრთხოების მკაცრი გარანტიებით დამთავრებული.

37 წლის მემსხტე რევაზ ქათამაძე შახტასთან ახლოს ცხოვრობს და სამსახურში გზას ფეხით მიუყვება. სამი შვილი ჰყავს, უმცროსი ბიჭია – 5 წლის საბა. მამას არ უნდა, რომ საბა მემსხტე გამო-



მალაროელების სამუშაო დღე

■ იანვარში მომხდარმა

აფეთქებამ კიდევ ერთხელ

ცხადყო, რომ მსხვილი

ინვესტიციის მიუხედავად,

ტყიბულის მალაროს დღემდე

უამრავი პრობლემა აქვს,

რომლებიც ხშირად ფატალური

შედეგებით სრულდება.

მემსხტეები მსოფლიოში

ერთ-ერთ ყველაზე რისკიან

სამუშაოს მხოლოდ სტაბილური

ანაზღაურების გამო

თანხმდებიან.

2010 წლის აგვისტოს აფეთქების დროს მიღებულ მრავლობით დამწვრობას ძლიერს გადაურჩა და მუშაობას დღემდე ვერ ახერხებს.

სწორედ ამ აფეთქების შემდეგ უშუალოდ პრეზიდენტის ინიციატივითა და მოთხოვნით, ტყიბულში უსაფრთხოების ზომების გამკაცრება უნდა დაწყებულიყო. თუმცა, ხუთი თვის შემდეგ განმეორებული აფეთქების გამო ქვეყნის პირველ პირს კიდევ მკაცრი განცხადების გაკეთება მოუწია:

„წინა აფეთქებაზეც ზუსტად ასეთივე დასკვნა მოგვეცეს და ყველაფერი მსხვერპლს და მალაროელებს დააბრალეს. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, წინა აფეთქება, შედეგი იყო არა მათი დაუდევრობის, არამედ უშუალოდ მალაროს

ციის მიუხედავად, ტყიბულის მალაროს დღემდე უამრავი პრობლემა აქვს, რომლებიც ხშირად ფატალური შედეგებით სრულდება. 1990-იან წლებში დაცარიელებულ ტყიბულში ხუთიდან ორი მალაროს აღდგენამ მართლაც შექმნა სამუშაო ადგილები. საწარმოს საერთო საცხოვრებელში ახლა კახეთიდან, სამეგრელოდან და ტყიბულის ახლოს მდებარე სოფლებიდან სამუშაოდ ჩასული მალაროელები ცხოვრობენ თავიანთი ცოლ-შვილით. თუმცა, ისინი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რისკიან სამუშაოს მხოლოდ სტაბილური ანაზღაურების გამო თანხმდებიან და ხშირად ამას საკუთარი დარღვეული უფლებებისა და აუტანელ პირობებში მუშაობის ხარჯზე აკეთებენ.

როგორც მემსხტეების წერილიდან

ვიდეს – „მძიმე, დაუფასებელი პროფესია“, – ამბობს მამა.

„მემსხტეობა არ მინდა, პოლიციის უფროსი გამოვალ“, – ეთანხმება შვილიც.

არადა, ტყიბულში მემსხტეობა მემკვიდრეობით გადადის. განათლებასაც იქვე იღებენ – ტყიბულის სამთო ინსტიტუტში. ტყიბულელი მემსხტეების, დათო აფციაურის, რევაზ ქათამაძის და გელა ქასრაშვილის მამები და პაპები მემსხტეები იყვნენ, თუმცა მათი შვილები ამ რეალობას გაურბიან. ზოგი უმუშევარია, ზოგმა სხვა პროფესია აირჩია, ნაწილი კი ტყიბულიდან საერთოდ წავიდა. მათ კი, ვინც იქ დარჩა და მუშაობა უნდა, სხვა არჩევანი თითქმის არ აქვს – ტყიბული მალაროების ქალაქია.

ყოველდღე მალაროელები 400 მეტრის

სიღრმეში ჩადიან და მიწის ქვეშ 6 საათს ატარებენ. დღის განმავლობაში 4 ჯგუფი იცვლება. ერთი ცვლა 6 საათის განმავლობაში მუშაობს. დღიური ნორმის მიხედვით, ერთმა ბრიგადამ 25 ვაგონი ნახშირი უნდა გამოიტანოს.

ცვლის დასაწყისში შახტაში მეთანის კონცენტრაციას სამთო სპეციალისტები ზომავენ: უბნის სამთო ოსტატი, ვენტილაციის უსაფრთხოების სამთო ოსტატი და ოსტატ-ამფეთქებელი. შახტებში შრომის განაწესის თანახმად, მალაროში მეთანის კონცენტრაცია 2 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ვიდრე ამ მაჩვენებელს არ მიიღებენ, მუშახტებს სამუშაოდ არ უშვებენ. ეს ნიშნული საგანგებოდ შეამონმეს 22 იანვარსაც. თუმცა მეთანი ჰაერში ნახშირის აფეთქების დროსაც გროვდება და სწორედ ამიტომაც აუცილებელი შახტაში მუშაობის დროს იქაურობის სრულყოფილი ვენტილაცია. მუშახტეები ვარაუდობენ, რომ მეთანის კონცენტრაციამ დასაშვებ ნორმას მუშაობის მიმდინარეობის პერიოდში გადააჭარბა, რადგან აფეთქებაც ცვლის დასასრულს

მოხდა, საბედისწერო ინციდენტი კი გამოიწვია იმან, რომ მალარო ამ დროს სათანადოდ არ განიავდა.

ტყიბულის მალაროში მესამე აფეთქების შემდეგ მუშახტეები იმასაც ითხოვენ, რომ პასუხისმგებლობა, უკვე დაკავებულ ექვმიტანილებთან ერთად, მათმა ზემდგომმა სპეციალისტებმაც გაიზიარონ.

„მე რომ უფროსი ვარ, დავისჯი ჩემს თავს? უფრო პატარას გადავბარალებ, ჩემზე პატარას. შენ რომ „დიდი“ უფროსი ხარ, „პატარა“ უფროსს მოთხოვე. თუ არ გააკეთებს, მაშინ „დაშტრაფე.“ თუ გინდა, მუშა იყოს, თუ გინდა – სამთო ოსტატი. საქმე სიკვდილამდე არ უნდა მივიდეს,“ – ამბობს მუშახტე გელა ქასრაშვილი.

თუმცა 10-პუნქტიან წერილში მუშახტეები არამხოლოდ ობიექტურ გამოძიებასა და უსაფრთხოების ზომების დაცვას ითხოვენ. აფეთქებების შედეგად დაღუპული და დასახიჩრებული მუშახტეების საკრედიტო დავალიანებების დაფარვა, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების განსხვავებული სატარიფო სისტემით ანაზღაურება, სამუშაოს დროს დასახიჩრებულთა და დაღუპულთა ოჯახების

საპენსიო და საკომპენსაციო სისტემის შემოღება – ესეც მათი მოთხოვნის ნაწილია, რადგან დღემდე მსგავსი პირობებით არასდროს უსარგლებიათ.

„მე რასაც მოვესწარი, ბევრი დაღუპული გავიყვანეთ, დახმარების მიზნით კი არაფერი მიუციათ. მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს აფინანსებენ – ქელეხს, ორმოცს და წლისთავს“, – ამბობს გელა ქასრაშვილი, ტყიბულელი მუშახტე.

„არც პენსიას აძლევენ, არც არაფერს. ეს როგორ შეიძლება? სამი შვილი დარჩა ამ ბიჭს. რა ქნას მისმა ცოლმა, პატარა გოგომ?“ – ამბობს დათო აფციაური. – „ამბობენ, რომ არის დახმარება, მაგრამ საბოლოოდ, ქელეხს უხდიან, სასაფლაოს უკეთებენ და ამით მთავრდება ყველაფერი“.

აფეთქების მიზეზის დამდგენ კომისიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აკომპლექტებს. მუშახტეები მსგავსი ფაქტების გამოკვლევის პროცესში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლის ჩართვას ითხოვენ. ■

შპს „საქნახშირის“ მუშახტეების მოთხოვნები ხელშეწყობის მიზნით:

1. შპს „საქნახშირში“ დასაქმებულთათვის გაფორმდეს უვადო შრომითი კონტრაქტები.
2. მოხდეს შპს „საქნახშირის“ თანამშრომელთა ხელფასების ინდექსაცია ბოლო სამი წლის მანძილზე დაფიქსირებული ინფლაციისა და სამომხმარებლო პროდუქტებისა და მედიკამენტებზე ფასების მომატების მიხედვით.
3. 2010 და 2011 წლებში შახტაზე მომხდარი აფეთქებების შედეგად დაღუპული და დასახიჩრებული მუშახტეების მიერ ბანკებიდან აღებული სესხების, განვადებების, ოვერდრაფტებისა თუ საკრედიტო ბარათების ღირებულება დაფაროს შპს „საქნახშირის“ აღმინისტრაციამ.

4. გაუმჯობესდეს შპს „საქნახშირის“ დასაქმებულთა შრომის პირობები:
▶ შრომის უსაფრთხოების თანამედროვე სისტემების დანერგვა.
▶ დასაქმებულების რეგულარული უზრუნველყოფა ხარისხიანი სპეცტანსაცმლით, დამხმარე და დამცავი საშუალებებით.
▶ დასაქმებულთა დროული და რეგულარული უზრუნველყოფა ხარისხიანი სამუშაო იარაღებით.
▶ გასახდელების, აბანოების და სამრეცხაოს წესრიგში მოყვანა.
▶ დასაქმებულის სამსახურეობრივი მოვალეობის

შესრულებისას დასახიჩრების, ან დაღუპვის დროს, ფაქტის გამოკვლევის პროცესში პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლების ჩართვა.
5. მოლაპარაკებების დაწყება ღამის პერიოდში (22:00-დან 06:00-მდე), ზეგანაკვეთურ და სადღესასწაულო დღეებში სამუშაო საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურების შესახებ.
6. მოლაპარაკებების დაწყება ჯანმრთელობისთვის მავნე და საშიშრობებიანი სამუშაოების შესრულების ანაზღაურების შესახებ.
7. დასაქმებულთა კუთვნილი, ანაზღაურებადი შვებუ-

ლება განისაზღვროს 40 სამუშაო დღით.
8. სამუშაოზე დასახიჩრებულთა, ტრავმირებულთა, შრომისუნარდაკარგულთა და დაღუპულთა ოჯახებისათვის საპენსიო და საკომპენსაციო სისტემის შემოღება.
9. დასაქმებულთა სამგზავრო ტრანსპორტით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება.
10. „პროფესიული კავშირების გაერთიანებისა“ და „მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის“ წარმომადგენლებთან, მოლაპარაკებების დაწყება ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით.

ხატომ შეიძლება იყოს დედა "ვერტმფრენი"?

დედები, რომლებსაც საკუთარი ცხოვრება არ აქვთ, ცდილობენ შვილების ცხოვრებით იცხოვრონ.

ეკა ჭითანავა

ტეხასის შტატის პატარა ქალაქ ოსტინში, შუშებიანი შენობის დიდ, ნათელ ოთახში სხვადასხვა ასაკის ქალები წრეში სხედან და ქოქოსის წვესს წრუპავენ.

„გამარჯობა, მე ვერტმფრენი დედა ვარ,“ – იწყებს ერთ-ერთი ვრცელ მონოლოგს. შეხვედრას ფსიქოლოგი კერი კონტი უძღვება.

„ვერტმფრენი“ (ინგლისურად Helicopter) ქართულად ამ შემთხვევაში „ჰიპერმეურვე“, ზედმეტად მზრუნველ მშობელს ნიშნავს.

„ჩემს შვილს დღეში ათჯერ ვურეკავ“, „ყოველდღე ვუმონებ ნიშნებს და მისი თანაკლასელების ნიშნებითაც ვინტერესდები“, „ბანაკშიც თან დავყვები, როცა დასასვენებლად მიდის,“ – ერთმანეთს უზიარებენ მშობლები საკუთარ გამოცდილებას.

ფსიქოლოგი კერი კონტი რთული მისია აქვს. იგი მშობლებს შვილებთან მიჯაჭვულობის დაძლევაში ეხმარება.

20 წლის წინ, წიგნში „ვასწავლოთ შვილებს პასუხისმგებლობა“ ერთმა თინეიჯერმა დაინუნუნა, რომ „დედაჩემი გამუდმებით ვერტმფრენივით თავს დამტრიალებსო“. მას შემდეგ ტერმინი „ვერტმფრენი დედა“ იმ ამერიკელი დედების განსაზღვრებად იქცა, რომლებიც შვილებს ჰიპერაქტიურად მეურვეობენ.

მოგვიანებით ტერმინი „ვერტმფრენი“ კოლეჯის პროფესორებმაც აიტაცეს. დღეს ამერიკელები ამბობენ, რომ მათ ქვეყანაში „ჰიპერმეურვეობის ეპიდემიაა“. პროფესორებმა ჰიპერმეურვე მშობლებს „გაზონის საკრეჭი მანქანებიც“ კი შეარქვეს, რადგან ეს



ადამიანები ცდილობენ შეიღებოს გზიდან ყველანაირი დაბრკოლება ჩამოშორონ.

ამერიკელი სპეციალისტების თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა იმ მშობლების რიცხვი, რომლებიც სასწავლო პროცესში გამუდმებით ერევიან, ამონებენ შეიღების ნიშნებს, უწერენ დავალებებს, პრობლემებს მათ ნაცვლად აგვარებენ და, რაც მთავარია, მოსვენებას მათ არც კოლეჯის დამთავრების შემდეგ აძლევენ. მობილურმა ტელეფონმა შეიღების კონტროლის მექანიზმი კიდევ უფრო დახვეწა. ამიტომ მას „მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჭიპლარიც“ კი შეარქვეს – მონყობილობა, რომელიც დედას შეიღებთან 24 საათის განმავლობაში აკავშირებს. ხშირად, მზრუნველობა იმდენად

ამბობს, რომ მსგავსი პრობლემა საქართველოში ძალიან ხშირია.

„ელემენტარულ მაგალითს გეტყვი: როცა ჩემთან მოდის კონსულტაციაზე დედა-შვილი, და 6 წლის ბავშვს ვეკითხები, „რა გქვია?“, ბავშვი გაჩუმებულია და დედას უყურებს. დედა კი მის ნაცვლად პასუხობს „ჩვენ გვქვია“... „ჩვენ ვსწავლობთ“, „ჩვენ გვიყვარს“... – ამბობს ფსიქოლოგი.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ჰიპერმეურვეობა ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის საბოლოო რეზულტატი აგრესიული ძალადობის შედეგზე არანაკლებ სავალალო შეიძლება, აღმოჩნდეს.

“მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბავშვს უფრო საკუთრებად აღვიქვამთ და არა ინდივიდად. ასეთ შემთხვევაში ჰიპერმეურვეობას ასაკი არა აქვს.

ლიდევით გავიზარდე. როცა 22 წლის ასაკში ამერიკაში წავედი, ძალიან გამიჭირდა. მაგრამ, კიდევ კარგი, წავედი, თორემ დამოუკიდებლად ცხოვრებას ვერასდროს ვისწავლიდი“, – იხსენებს 30 წლის ნატა.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ზედმეტი მზრუნველობის გამო, ბავშვები ხშირად ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ არიან და შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრება ძალიან უჭირთ.

„არადა ჩვენთან კარგ ტონად ითვლება, თუ დედა ზედმეტად მზრუნველია, – ამბობს მაია ცირამუა, – მშობლები ვერ აცნობიერებენ, რომ არ შეიძლება იყო ბავშვის ხელი, ფეხი ან ტვინი“.

ნიუ ჰემფშირში, კინის სახელმწიფო კოლეჯში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ჰიპერმეურვე მშობლების

■ „ჩემთან მოდის კონსულტაციაზე დედა-შვილი და 6 წლის ბავშვს ვეკითხები, „რა გქვია?“, ბავშვი გაჩუმებულია და დედას უყურებს. დედა კი მის ნაცვლად პასუხობს „ჩვენ გვქვია“... „ჩვენ ვსწავლობთ“, „ჩვენ გვიყვარს“...“

აბსურდულ ფორმას იღებს, რომ, მაგალითად, ერთხელ დედის ახირების გამო კონეკტიკუტის მერი იძულებული გახდა ერთ-ერთ უბანში სამი უზარმაზარი კაკლის ხე მოეჭრა, რადგან დედა წუხდა, რომ ხიდან კაკალი, შესაძლოა, მათ საცურაო აუზში ჩავარდნილიყო, მის შვილს კი, კაკალზე ალერგია ჰქონდა.

საქართველოში შეიღების აღზრდის კულტურა ასეთი მსჯელობის საგანი არასდროს გამხდარა. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არც რაიმე სტატისტიკა არსებობს. თუმცა, პრობლემა, რომელსაც ამერიკელი სპეციალისტები ყოველწლიურად ათობით ნიგნსა და ნაშრომს უძღვნიან, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ბევრად უფრო მწვავედ დგას.

ფსიქოლოგი მაია ცირამუა, რომელიც წლებია კონკრეტულად ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობს,

თუკი პატარაობიდანვე ადამიანი დამოუკიდებელ სუბიექტად არ აღიქვი, შენს ცნობიერებაში წლების განმავლობაში არაფერი შეიცვლება,“ – ამბობს მაია ცირამუა.

საქართველოში ნებისმიერი ასაკის ადამიანისგან შეიძლება, ასეთი ჩივილი მოვისმინოთ:

„ბავშვობაში, იმის გამო რომ არ გავციელებულიყავი, დედა ექსკურსიებზე არ მიშვებდა, ეზოშიც არ ვთამაშობდი. უმოძრაობის გამო სულ სიმსუქნის პრობლემა მქონდა. როცა გავიზარდე, არ მოსწონდა, როცა მეგობართან ღამე ხშირად ვრჩებოდი. ახლა მასთან აღარ ვცხოვრობ, თუმცა ტელეფონით სულ მაკონტროლებს, დღეში რამდენჯერმე მირეკავს, ჩემს გვერდით სულ მის სიახლოვეს ვგრძნობ, მაშინაც კი, როცა ჩემთან არაა, არ ვიცი როგორ დავაღწიო თავი“, – ამბობს 25 წლის ქეთი.

„დედა ყოველთვის ყველაფერს ჩემს მაგივრად აკეთებდა, ამიტომ ინვა-

უმეტესობას ნერვიული შეიღები ჰყავთ. კვლევა 2010 წელს პირველკურსელ სტუდენტებს შორის ჩატარდა.

„ის სტუდენტები, რომლებსაც ზედმეტად მზრუნველი მშობლები ჰყავთ, არიან კომპლექსებით სავსე, ნაკლებად კრეატიულები, ეგოცენტრულები, ნერვიულები, იმპულსურები. ასეთ ადამიანებს წარმატების მიღწევა უჭირთ, ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს“ – ამბობს მკვლევარი ნილ მონტგომერი.

რამდენიმე თვის წინ, შვედურ სატელევიზიო შოუში „ახალგაზრდა და განებივრებული“ 18-დან 24-წლამდე ახალგაზრდები შეკრიბეს. ეს იყო რეალთი შოუ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც მშობლებმა „გააფუჭეს“. ახალგაზრდებმა არ იცოდნენ რეცხვა, საჭმლის კეთება, თავის მოვლა კი. ამ შოუს შვედურ და საერთაშორისო ფორუმებზე დიდი გამოხმაურება მოყვა. რეალთი შოუს მონაწილეთა

ტესტი

სახით თუ ახა "პეხბმფხენი" მშობელი?

1. თქვენს შვილთან ერთად სერიოზოტ პარკში. ირგვლივ გავრცელებული თამაშობს. თქვენი შვილი მათ არ ეპარება და განცხადებით მასს. როგორ იქცევი?

- ა) გაცნობით თქვენს შვილს სხვებს. ეცდებით, ბავშვებთან თამაში დაიწყოს.
- ბ) უყურებთ და ელოდებით, როდის მიეჩვენება თანატოლებს.
- გ) დაუყვირებთ: „თუ თამაშს არ დაიწყებ, ახლავე სახლში წაგიყვან!“

2. ჩემი შვილი

- ა) უნდა დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი, ისევე, როგორც მე და ჩემი მეუღლე.
- ბ) თავად გადაწყვიტოს – თუ უნდა, საერთოდ ნუ ჩააბარებს უმაღლესში.
- გ) სასურველია, თავად აირჩიოს ის უნივერსიტეტი და პროფესია, რომელიც აინტერესებს.

3. შვილს უბიძგავთ

- ა) სხვადასხვა სფეროში მოსინჯოს თავისი ძალები, რომ გაარკვიოს ყველაზე მეტად რა მოსწონს.
- ბ) იაროს წრეებზე, სადაც თქვენ ფიქრობთ, რომ ის წარმატებას მიაღწევს.
- გ) იაროს იმ წრეზე, რომელზეც თქვენ გინდოდათ ბავშვობაში სიარული

4. როცა თქვენი პატარა ყველგან ზიგურებს სხვადასხვა ადგილებს

- ა) ეუბნებით, რომ შეწყვიტოს ჯღაბა.
- ბ) ცდილობთ, ეს საქმიანობა წახალისოთ.
- გ) მასთან ერთად იწყებთ ხატვას ან გაფერადებას, მხოლოდ, სახატავ რეჟულში.

5. თუ თქვენს შვილს არ გამოდის თანატოლების აწყობა

- ა) ურჩევთ, სცადოს სხვა კომბინაცია, სანამ არ ააწყობს.
- ბ) მის ნაცვლად ააწყობთ თავსატეხს.
- გ) ურჩევთ, სხვა რამით დაკავდეს.

6. თუ თქვენი შვილი სხვა ბავშვებთან სათამაშოს გამო ჩხუბობს

- ა) ავტომატურად ასკვნი, რომ თქვენი შვილი სამართლიანად ბრაზობს.
- ბ) ორივესგან ცდილობთ სიმართლის გაგებას.
- გ) არ ერევით მათ საქმეში - თავად მორიდებიან.

7. თქვენი შვილი გაბრაზდა, როცა თქვენთან თამაშის დროს წააბო. ამ დროს თქვენ:

- ა) არ გინდათ, აწყენინოთ და ეუბნებით, რომ შეგეშალათ და სინამდვილეში მან მოიგო.
- ბ) უხსნი, რომ „ნაგება და მოგება ძმები არიან.“
- გ) ურჩევთ, კიდევ ერთი ხელი ითამაშოს, იქნებ ამჯერად მოიგოს.

8. თქვენი შვილის ნაცვლად საუბრობთ? მის ნაცვლად აპატიებთ საქმეს, როცა იცით, რომ შეუძლია თავი თვითონავე გაართვას?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) სიტუაციას გააჩნია

9. თუკი თქვენს შვილს შენიშვნას სხვა ბავშვს

- ა) გინბარიათ, რომ თქვენი შვილის დისციპლინაზე სხვაც ზრუნავს.
- ბ) ბრაზდებით, რადგან ფიქრობთ, რომ შენიშვნის მიცემის უფლება მხოლოდ თქვენ გაქვთ, იმის მიუხედავად, თუ რა დააშავა თქვენმა შვილმა.
- გ) საქმეში ერევით სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვლით, რომ ეს აუცილებელია.

10. თქვენმა შვილმა დავალებაში მიიღო ნიშანი, რომლის საპირაპიროდ გაიჭვი ბავშვობაში

- ა) დაუყოვნებლივ დაელაპარაკებით მასწავლებელს.
- ბ) შვილს ურჩევთ, შეასრულოს მასწავლებლის მითითებები, გაასწოროს შეცდომები და დაეალება ხელახლა მიიტანოს.
- გ) ფიქრობთ, რომ მასწავლებელმა უკეთ იცის თავისი საქმე.

ქულები	ა	ბ	გ
1	2	1	3
2	3	1	2
3	1	2	3
4	1	2	3
5	2	3	1
6	3	2	1
7	3	2	1
8	3	1	2
9	2	3	1
10.	3	2	1

1-10. თქვენ შვილს საკმარის თავისუფლებას აძლევთ. თუმცა ზოგჯერ იგი თქვენგან მეტ მხარდაჭერას ელის. შეეცადეთ, უკეთ გაერკვეთ, რა ხდება მის ცხოვრებაში, დარწმუნდით, რომ ყოველთვის მის გვერდით ხართ, როცა მას დახმარება სჭირდება.

11-19. მშვენიერია! თქვენ იპოვეთ ოქროს შუალედი ზედმეტ მზრუნველობასა და უყურადღებობას შორის.

20-30. ყურადღებით იყავით, შეიძლება „ვერტმფრენ“ მშობლად იქცეთ. რა თქმა უნდა, კარგია, როცა შვილს რთულ სიტუაციებში ეხმარებით, მაგრამ არასწორია, როცა ყველა პრობლემის გადაჭრას მის ნაცვლად ცდილობთ. დაფიქრდით, თქვენი შვილისთვისვე უკეთესია, თუკი დამოუკიდებლობას შეეჩვევა და პრობლემების გადაჭრას თავად შეეცდება.

წყარო: www.babyzone.com

უნიათობაში ბევრმა სწორედ მშობლები დაადანაშაულა.

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბავშვის სწორად ჩამოყალიბებისთვის ყველაზე მთავარი დამოუკიდებლობის შეგრძნებაა.

„3 წლიდან ბავშვს უკვე არჩევნის საშუალება უნდა მისცე. მაგალითად, აირჩიოს ორი სხვადასხვა ფერის წინდიდან ერთი-ერთი, თვითონ გადაწყვიტოს წინიბურას ფაფას შეჭამს თუ შვრიისას,“ – ამბობს ფსიქოლოგი ნანა ხოშტარია.

ჰენრიეტ ფელიჩი-ბახი ეთნოკლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტია. იგი შეისწავლის, თუ რა გავლენას ახდენს წარმომავლობა და კულტურული ფესვები ადამიანის განვითარებაზე. სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვის აღზრდის

ხშირად სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს, რადგან სრულწლოვან ასაკს მიღწეულ ახალგაზრდებს ცალკე საცხოვრებლად გადასვლისთვის სახსრები არ ჰყოფნით. თუმცა დიდი როლი აქვს ტრადიციებსა და მენტალობასაც.

საქართველოში სიტუაციას ისიც ართულებს, რომ დაუქორწინებელი წყვილის ერთად, მშობლებისგან ცალკე ცხოვრება ტრადიციულ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მეტიც, ეს საკითხი ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვისაც, განსაკუთრებით ქალისთვის, დამოუკიდებლად იმისა, ჰყავს მას პარტნიორი თუ არა, მაინც პრობლემას წარმოადგენს.

იყოს? მაშინ ისწავლეთ, როდის დატოვოთ იგი მარტო. როცა თქვენი მხრიდან ტვირთი შემსუბუქდება, თქვენი შვილები უფრო მალა აფრინდებიან. ხშირად ჩვენ – მშობლები სწორედ ის ადამიანები ვართ, ვინც მათ ქვევით ექაჩება“.

ჰიპერმეურვეობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ის ვებსაიტებიც იქცა, სადაც helicopter მშობლები თავიანთ ამბებს წერენ, შეცდომებს აღიარებენ და პროფესიულ რჩევებსაც იღებენ. ამ საკითხს მედიაც აქტიურად ამუშავებს.

საქართველოში ჰიპერმეურვეობა, როგორც სერიოზული პრობლემა, ჯერ აღიარებული არც არის. ქვეყანაში, სადაც პირად ფსიქოლოგთან სიარულის კულტურა არ არსებობს, დეპრესიას მეგობრებთან გულის გა-

■ „ნამდვილად გინდათ, რომ თქვენი შვილი წარმატებული იყოს? მაშინ ისწავლეთ, როდის დატოვოთ იგი მარტო. როცა თქვენი მხრიდან ტვირთი შემსუბუქდება, თქვენი შვილები უფრო მალა აფრინდებიან. ხშირად ჩვენ – მშობლები სწორედ ის ადამიანები ვართ, ვინც მათ ქვევით ექაჩება“.

განსხვავებული ტრადიცია არსებობს. „მაგალითად, გერმანიაში პატარებს ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტას ბალის ასაკიდანვე აჩვენებენ. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში კი ბავშვები ელოდებიან, როდის დაარიგებენ მათ უფროსები,“ – აღნიშნავს ბაკი. მისი თქმით, ჰიპერმზრუნველი მშობლების პრობლემა უფრო სამხრეთის ქვეყნებშია. მაგალითად, 2008 წელს ჟურნალ Psychology Today-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, იტალიაში 30-40 წლის მამაკაცების 37 პროცენტი ისევ დედაბრუნებულს ცხოვრობს.

მსგავსი კვლევა საქართველოში რომ ჩატარებულიყო, ეს ციფრი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. „ჩემს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა 50 წელს მიღწეული მამაკაცის მეუღლესთან ურთიერთობაშიც კი დედა ერეოდა“, – იხსენებს ფსიქოლოგი ნანა ხოშტარია.

აღზრდის მეთოდზე გავლენას ზოგადი განათლების დონეც განსაზღვრავს. თანაც, საქართველო გაცილებით ჩაკეტილია, ვიდრე ევროპის რომელიმე თუნდაც ტრადიციული ქვეყანა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ნაკლებს მოგზაურობს, მთელი სიცოცხლე იქ ცხოვრობს, სადაც დაიბადა და მშობლიურ ბუდეცაც ნაკლებად ტოვებს.

ცხადია, ჰიპერმეურვეობა არაა მხოლოდ ქართული ფენომენი, თუმცა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში უკვე გაჩნდა სკოლები, რომლებიც ამ მავნე ტენდენციის დაბალანსებას აღზრდის ახალი მეთოდების შეთავაზებით ცდილობენ. ამ მოძრაობას სხვადასხვა დასახელება აქვს – Slow Parenting, Simplicity Parenting. ყველა ამ მეთოდის მთავარი არსი ერთია: „ნაკლები ნიშნავს მეტს, ზედმეტი მზრუნველობა სახიფათოა, მარცხი კი – სასარგებლო. ნამდვილად გინდათ, რომ თქვენი შვილი წარმატებული

დაშლით მკურნალობენ. ამიტომ, უამრავი ახალგაზრდა სტრესის ქვეშ ცხოვრობს და საკუთარი თავის რეალიზაციას ოჯახის მხრიდან დაკისრებული მოვალეობების გამო ბოლომდე ვერ ახერხებს.

„ძალიან ბევრ დედას უთქვამს, რომ როცა ჩემთვის რამეს ვაკეთებ, მერე სინდისის ქენჯნას ვგრძნობ, რომ ეს ჩემს შვილს მოვაკელი. ეს იმის გამო ხდება, რომ ხშირად დედაებს საკუთარი ცხოვრება არ აქვთ, ამიტომ შვილების პირად სივრცეში იჭრებიან და ცდილობენ, მათი ცხოვრებით იცხოვრონ“, – ამბობს ფსიქოლოგი ნანა ხოშტარია. „მე სულ ვეუბნები ასეთ მშობლებს: მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს, გაიკეთეთ საჩუქარი, მოაწყვეთ დღესასწაული ქმართან ან მეგობრებთან ერთად, ეცადეთ, შეიქმნათ თქვენი მიკროსამყარო და შეილსაც აცალეთ ცხოვრება“. □

ფეხით მოსიარულეთა უფლებები



მარკ მალენი



ფოტოს თბილისი პარკინგის ცენტრი

ფეხით მოსიარულეთა უფლებებს თბილისის მერია საკმარის ყურადღებას არ აქცევს. მიზეზი მარტივია. მანქანის მფლობელებს მეტი ფული და ძალაუფლება აქვთ, ვიდრე მათ, ვინც ფეხით გადაადგილდება. იმ ილბლიანებს კი, ვინც საჯარო სექტორშია დასაქმებული, მანქანით სარგებლო-

ბაზე მეტად მიუწვდებათ ხელი. უცნაურ პიარაქციებს თუ არ ჩავთვლით, მაღალი თანამდებობის პირების ან პარლამენტის წევრების ტროტუარზე დანახვა რთულია; მიიჩნევა, რომ ისინი ზედმეტად დაკავებული არიან ფეხით სიარულისთვის და ამიტომ, აუცილებლად გადასახადის გადამხდე-

■ ერთ პატარა ქუჩაზე, რომელიც დიდ ქუჩას უერთდება, ფეხით მოსიარულეთა ბილიკია მონყობილი და მძღოლები მანქანებს სწორედ ამ ბილიკზე აყენებენ.



სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ლების მიერ დაქირავებული მანქანით უნდა სარგებლობდნენ. ამიტომაც, სრულიად გასაგებია, რატომ ივინყებენ საჯარო პირები იმათ უფლებებს, ვინც ქალაქში ფეხით გადაადგილდება, რატომ არ ახსოვთ პრობლემები, რომლებიც ფეხით მოსიარულეებს აწუხებთ და რომლებიც, წესით, მოქალაქეების მაგივრად თავად უნდა გადაწყვიტონ.

ქუჩებში ძალიან ბევრი მანქანაა და ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოში მანქანის წლიურ დათვლიერებას არ ითხოვენ, გადასახადები და ტარიფები კი, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, უჩვეულოდ დაბალია. საქართველოში უფრო იაფია მანქანის ფლობა, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ავტოპარკირებას კონტროლი სჭირდება. მძღოლები კი მანქანებს იქ აყენებენ, სადაც ხალხი დადის. როგორც ვიცი, პარკირების კონტროლი კერძო კომპანიის ხელში გადავიდა და ხალხი უკმაყოფილიყო იყო: ბოლომდე ნათელი არ არის, სად შეიძლება მანქანის დაყენება და სად არა. შედეგად ის მივიღეთ, რომ მანქანებს ყველა სადაც უნდა, იქ აყენებს. თუ რომელიმე მანქანა სხვა მანქანებს უშლის ხელს, ის ბუქსირით გადაჰყავთ. ეს არასოდეს მოხდება, თუ ეს მანქანა მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს შეუშლის.

მანქანები ფეხით მოსიარულეთა გადამკვეთ ბილიკებზეც შემიმჩნევია – ერთ პატარა ქუჩაზე, რომელიც დიდ ქუჩას უერთდება, ფეხით მოსიარულეთა ბილიკია მონყობილი და მძღოლები მანქანებს სწორედ ამ ბილიკზე აყენებენ. სამწუხაროდ, ხელისშემშლელი არაფერია. სხვა ქვეყნებში, თეთრი ხაზებით დახატულ ფართო ბილიკებზე, ფეხით მოსიარულეებს გავლის უპირატესობა აქვთ და ასეთ ადგილებში მანქანის დაყენება აკრძალულია. შეიძლება, ანალოგიური შეზღუდვა საქართველოშიც არსებობს, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის და მათ პოლიცია არ აკონტროლებს.

ტურისტების ერთ-ერთი საყვარელი ადგილი რუსთაველის გამზირის

სამხრეთი ნაწილია. აქ ფასადების გალამაზებასა და განათებაზე უამრავი ფული დაიხარჯა. ეს ნამდვილად დიდებული ადგილია და ქართველი თუ უცხოელი ტურისტების აღფრთოვანებას იმსახურებს. ტურისტებმა ღრმად უნდა შეისუნთქონ და ტანსაცმელიც გვარიანად გაიჭუჭყიანონ, როდესაც მათ სავალ გზაზე გაჩერებულ „ტოიოტა ლენდ კრუიზერსა“ და „რეინჯ როვერს“ შორის გავლა მოუწევთ. ამ დროს მათ ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ქალაქი მდიდრებსა და გავლენიანებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს. ქალაქს ეს არამხოლოდ არაორგანიზებული განწყობას, არამედ რამდენადმე ჩამორჩენილისა ან დაუმთავრებლის იმიჯს უქმნის.

კიდევ უარესი მდგომარეობაა მშენებლობის ადგილებში. ქალაქში რამდენიმე ისეთი გიგანტური სამშენებლო პროექტია, რომელიც ვერა და ვერ დასრულდა, მაგრამ მშენებლობის ადგილებს ხის სავალი ბილიკები ჯერ კიდევ გასდევს და ფეხით მოსიარულეებს პრობლემებს უქმნის. მეცნიერებათა აკადემიის ადგილზე თუ რამე შენდება, არ შეიძლება, რაღაც ნიშანი განვათავსოთ, რომ გავიგოთ, რატომ გვინევს მისთვის გვერდის ავლა? მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის „კემპისის“ სასტუმროდ გადაკეთების პერსპექტივები უკვე ერთობ მცირეა. მგონი, უპრიანი იქნება, რომ ამ ადგილას სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები და ხის ტროტუარი უკვე მოვაშოროთ. ასევე, ფოსტის შენობის მიმდებარე ტროტუარს შეკეთებას საჭიროებს, თორემ შევარდნაძისდროინდელზე უარესად გამოიყურება.

მანქანები ადამიანის ორგანიზმისთვის, ენერჯისთვის და პლანეტისთვის საზიანოა. ფეხით სიარული ჯანმრთელი, სოციალური და ეკოლოგიურად გამართლებული „საქმიანობაა“. თბილისის საკრებულოს და მერიის ოფისის თანამშრომლებს მოვუწოდებდი, რომ მანქანებიდან გადმოვიდნენ და ნახონ, თუ როგორ გამოიყურება დანარჩენი მოსახლეობისთვის თბილისი. ამან შეიძლება, მათ რაღაცების შეცვლისკენ უბიძგოს.

ინფლაციის ხონახოცი - მიზანი თუ საშუალება?



ის, რომ ინფლაციასთან საბრძოლველად დღეს სახელმწიფოს ხარჯვის შემცირებაა საჭირო, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ხარჯვა, როგორც ასეთი, გაუმართლებელია.

გიორგი ცხადია

ინფლაციის მაჩვენებელმა დეკემბერში 11%-ს მიაღწია და 2011 წლის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური პრობლემა გახდა. ინფლაცია სახელმწიფოს მიერ ბევრი ხარჯვისა და საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდის კომბინაციის შედეგია (თუმცა, ეროვნული ბანკის აზრით, ინფლაციის ერთადერთი მიზეზი საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდაა).

ინფლაციის შეჩერების, ფაქტობრივად,

მიმართავენ, მთავრობის მიერ „ზედმეტი“ ხარჯვა ყოველთვის ცუდის მომტანია, მაშინაც კი, როდესაც ამის გადაუდებელი საჭიროება არსებობს. არადა, თვით მონეტარისტების მთავარი გურუ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი მილტონ ფრიდმანიც კი მიიჩნევდა, რომ „დიდი დეპრესიის“ და ეკონომიკური რეცესიების დროს ცენტრალურმა ბანკებმა ზედმეტი ფული უნდა დაბეჭდონ და სახელმწი-

ფრეზირება ის ტექნიკური საშუალებაა, რითაც ფასების საყოველთაო ზრდას ხელს უშლიან. ამავე დროს, არსებობს უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მონეტარული და ფისკალური როლი ინფლაციის შესაჩერებლად. მონეტარისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ყოველთვის იმდენი ფული უნდა გამოუშვას ეკონომიკაში, რამდენიც ეკონომიკური



ერთადერთ მექანიზმად ორივე ნამყვანი ეკონომიკური სკოლის – კეინზიანიზმის და მონეტარიზმის – მხარდამჭერებს სახელმწიფო ხარჯვის შემცირება მიაჩნიათ. აქედან გამომდინარე, დღეს ყველამ იმაზე დაიწყო საუბარი, რომ მთავრობა ბევრს ხარჯავდა და ეს კატეგორიულად მიუღებელია.

სინამდვილეში, როდესაც მთავრობის ხარჯვაზე ვსაუბრობთ, არ უნდა აგვერიოს ერთმანეთისგან ხარჯვის შემცირების მორალური და ტექნიკური არგუმენტები. მორალური არგუმენტის მიხედვით, რომელსაც ლიბერტარიანელები და ეკონომიკური კონსერვატორები

ფოს ფისკალური როლიც, შესაბამისად, უნდა გაიზარდოს. თანამედროვე მორალისტი ლიბერტარიანელები ამერიკის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ ეკონომიკური რეცესიის წინააღმდეგ საბრძოლველად განხორციელებულ მონეტარულ პოლიტიკას ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს მიერ ფულის ბეჭდვა და ხარჯვის გაზრდა ყველგან და ყოველთვის ცუდია. ამგვარი შეხედულების გავრცელებისგან განსაკუთრებით უნდა დავიზღვიოთ თავი ახლა, როდესაც ხარჯვის შემცირება ნამდვილად გჭირდება.

ინფლაციის შესამცირებლად ხარჯვის

ზრდის პროპორციული იქნება. „ზედმეტი“ ფულის ბეჭდვა კი იმას გამოიწვევს, რომ „ბევრი ფული ცოტა პროდუქტს გამოეკიდება“ და ფასები გაიზრდება. ამ შეხედულების მიხედვით, რომელსაც თანამედროვე კეინზიანელებიც იზიარებენ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ფულის მასას ნეიტრალური ეფექტი აქვს და ბაზრის ფუნქციონირებას მოთხოვნა-მიწოდების კანონები განსაზღვრავს.

მაშ, რით განსხვავდებიან კეინზიანელები მონეტარისტებისგან? კეინზიანელები მიიჩნევენ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს მიერ ფულის ხარჯვას გამანეიტრალებელი რო-

ლის შესრულება და უმუშევრობის დონის ხელოვნურად დარეგულირება შეუძლია. იმისათვის, რომ ეს არგუმენტი უკეთესად გაიხაროს, უპირაძელი იქნებოდა, თუ უმუშევრობის დონისა და ინფლაციის ურთიერთდაამოკიდებულების აღმწერ ე.წ. „ფილიპისის მრუდს“ განვიხილავდით.

„ფილიპისის მრუდის“ მიხედვით, უმუშევრობისა და ინფლაციის დონეს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს: როდესაც უმუშევრობის დონე მცირდება, ინფლაციის დონე იზრდება. „ფილიპისის მრუდი“ ამ ორი ცვლადის ურთიერთდაამოკიდებულების გამარტივებული მოდელია და არ აღწერს ისეთ სიტუაციებს, როდესაც ინფლაციებს გარეგანი ფაქტორები (მაგალითად, ნავთობზე ან რომელიმე უალტერნატივო პროდუქტზე ფასების მომატება) იწვევს. გარე ბაზრებზე ფასების უეცარ ზრდას თუ თავს დავანებებთ, სხვა შემთხვევებში, „ფილიპისის მრუდის“ მოდიფიცირებულ ვერსიას მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში საპატიო ადგილი უკავია.

■ ინფლაციის შესამცირებლად ხარჯვის შემცირება ის ტექნიკური საშუალებაა, რითაც ფასების საყოველთაო ზრდას ხელს უშლიან.

„ფილიპისის მრუდი“ გვეუბნება, რომ თუ მთავრობა ფისკალურად ჩაერევა ბაზრის ფუნქციონირებაში და უმუშევრობის დონეს ხელოვნურად შეამცირებს, ინფლაციის დონე გაიზრდება. განსხვავება კეინზიანელებსა და მონეტარისტებს შორის ის არის, რომ კეინზიანელების აზრით, მოკლევადიან პერსპექტივაში, ხელფასები რიგიდულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ინფლაცია გაიზრდება, ხელფასები მაინც იგივე დარჩება, ანუ დასაქმებულები მაშინვე მეტი გასამრჯელოს მიღებას არ მოითხოვენ. ამის სანაღმდეგოდ, მონეტარისტები თვლიან, რომ ადამიანები რაციონალურად აზროვნებენ და გაზრდილი ინფლაციის კვალდაკვალ, ისინი აუცილებლად წინასწარ მოითხოვენ გაზრდილ ხელფასებს.

თანამედროვე კეინზიანელები მონეტარისტებთან იმაში თანხმდებიან, რომ

ადრე თუ გვიან ხელფასები მაინც გაიზრდება. მაშინ, რა დაემართება „ფილიპისის მრუდს“ თუ, ფასების ზრდის კვალდაკვალ, დასაქმებულთა ხელფასებიც გაიზრდება? ამ შემთხვევაში, კომპანიები შეამცირებენ მუშებს და უმუშევრობის დონე წინანდელს დაუბრუნდება. განმეორებითი სახელმწიფო ჩარევის შედეგად კი, ინფლაცია უფრო და უფრო მოიმატებს. თანამედროვე კეინზიანელები თვლიან, რომ სახელმწიფოს განმეორებითი ჩარევის შედეგად შესაძლოა, სწორედ ამგვარი დაუსრულებელი ინფლაცია მივიღოთ.

გამოდის, რომ დღეს ჩვენ „ფილიპისის მრუდის“ სწორედ იმ სტადიაზე ვართ, როდესაც სახელმწიფოს შემდეგმა აგრესიულმა ჩარევამ შესაძლოა, ვითარების გამოსწორების ნაცვლად, გაუარესება გამოიწვიოს და უფრო მაღალი ინფლაცია მივიღოთ. ამიტომ, სახელმწიფოს „ქამრების შემოჭერის“, ანუ ნაკლები ხარჯვის პოლიტიკა სრულიად გამართლებულია. უბრალოდ, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშ-

ნავს იმას, რომ ხარჯვა რადიკალურად უნდა შემცირდეს და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს – არავითარ შემთხვევაში! აქ საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოს ხარჯვა თანდათანობით უნდა შემცირდეს ისე, რომ შემდგომი ინფლაცია თავიდან ავირიდოთ.

კეინზიანელები თვლიან, რომ სახელმწიფოს მიერ აქტიური ჩარევა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ხელფასების რიგიდულობის შემთხვევაში, ჩარევა ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს – მართალია, ინფლაცია იზრდება, მაგრამ უმუშევრობის დონეც მცირდება. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა, ამან უკუშედეგები გამოიწვიოს, მაგრამ თუ სახელმწიფოს მიერ ხარჯვა კონტროლირებადი და რაციონალური იქნება, ყოველი დახარჯული ლარი ე.წ. „გამრა-

ვლების ეფექტს“ შექმნის და ეკონომიკის წინსვლას წახალისებს.

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე.წ. სტრუქტურული უმუშევრობაა. სტრუქტურული უმუშევრობა გულისხმობს იმას, რომ სამუშაო პერსონალის მოთხოვნად უნარებსა და არსებულ უნარებს შორის შეუსაბამობაა. შედეგად, უამრავი ადამიანი ვერ საქმდება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის და მომსახურების სექტორშია დასაქმებული, სამუშაო ძალის მხოლოდ ის ნაწილი საქმდება, რომელიც უფრო მეტად განათლებული და გამოცდილია. ყველაზე ნაკლებად ანაზღაურებადი მომსახურების სფეროს ქვედა სექტორებია (გადამყიდველთა ბაზარი, საშუალო განათლების სექტორი და ა.შ.)

„გამრავლების ეფექტთან“ და აგრეგატიული მოთხოვნის ხელოვნურად გაზრდასთან ერთად, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია იმისთვის, რომ შეამციროს სტრუქტურული უმუშევრობა. სახელმწიფომ უნდა მოანესრიგოს ინფრასტრუქტურა, ხელი შეუწყოს განათლებას, ტრენინგს და შესარულოს, საქართველოს შემთხვევაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია – არ დაუშვას მონოპოლიების წარმოქმნა. რა თქმა უნდა, იმაზეც არავინ დავობს, რომ სახელმწიფოს მორალური ფუნქცია აქვს: მოხუცებისა და სნეულების დახმარება.

ერთი სიტყვით, ის, რომ ინფლაციასთან საბრძოლველად დღეს სახელმწიფოს ხარჯვის შემცირება გვჭირდება, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ხარჯვა, როგორც ასეთი, გაუმართლებელია. ინფლაციის შემცირებასა და ეკონომიკურ ზრდაზე გამუდმებულმა ზრუნვამ მთავარი მიზანი არ უნდა დაგვაგინოს – უმუშევრობის შემცირება და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ის ეკონომიკა, რომელიც ამ ორი მიზნის შესრულებისთვის ძალისხმევას არ ხარჯავს, საბოლოოდ უფრო სტაბილური და მდგრადი გამოდის, ვიდრე ის, რომელსაც მოსახლეობის დაცვის შიდა მექანიზმები არ აქვს. ■

სიმანსი [დათ. SIMULANS (SIMULANTIS)] - ჰიჩი, ხომლის სიმანსიანს მიმანსიანს



ნინია კაკაბაძე

25 იანვარს, საღამოს 6 საათიდან 8 საათსა და 40 წუთამდე, კარგად იცით, რაც გავიდა ეთერში. ტელეხიდი, უფრო სწორად კი – „ტელემოსტი“ პრეზიდენტსა და სოფელ მისაქციელის მოსახლეობას, ბათუმელებს, თბილისის ქუჩაში შეკრებილ სტუდენტებს, ერთ-ერთ სტუდიაში შეკრებილ ჟურნალისტებს, მესტიელებს, ლონდონში, პარიზში, ნიუ იორკში მყოფ ქართველ ემიგრანტებსა და მარნეულის სასურსათო ქარხნის მუშაკებს შორის. ახალ კავკასიურ ტელეარხ „პიკის“ სტუდიაში საქართველოს პრეზიდენტი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ფონზე იჯდა. თითო პუნქტიდან, წერტილიდან რამდენიმე კითხვა ისმებოდა, თუმცა ყველა პუნქტში, წერტილში სულ ცოტა 20 ადამიანი იმყოფებოდა. რატომ შეანუხეს ამდენი ხალხი? მრავალფეროვნებისთვის?

თითქმის 3-საათიანი გადაცემის ხილვის შემდეგ, არც უგო ჩავესთან გავაველებ პირდაპირ პარალელს და არც ვლადიმირ პუტინთან. ამაზე უკვე ისედაც ბევრი იქილიკა ბრძენმა ქართველმა ხალხმა. მხოლოდ რამდენიმე შტრიხზე გავამახვილებ ყურადღებას.

რა მოვისმინეთ ახალი? რისთვის იყო საჭირო ეს გრანდიოზული ტელეშოუ? პრეზიდენტის რიტორიკაში, პასუხებსა თუ ნააზრევში არსობრივი სიახლე ნამდვილად არაფერია. ის როგორც წესი, კითხვებს პასუხს არ სცემს და სარეკლამო, „წინასაარჩევნო“ დისკურსს არ ღალატობს. აი, მაგალითად, კითხვაზე – აპირებთ თუ არა პრემიერ-მინისტრობას – მიხეილ სააკაშვილი პასუხობს: – აღარ იქნება ცენტრალიზებული მმართველობა, ევროპელები



გვეუბნებიან, მოკალით ეს ცენტრალიზებული, საპრეზიდენტო მმართველობა... ჩვენ გამოვიარეთ ეკონომიკური ემბარგო, პროვოკაციები, ომი... ქუთაისში გადაგვაქვს პარლამენტი, ეს ეპოქალური ცვლილებაა, უკვე გადავიტანეთ რაღაც-რუღაცები ფოთში, ბათუმში... ჩემი მიზანი ამ ყველაფერზე კონცენტრაციაა და არა იმაზე, სად ვიქნები მე 2013 წელსო. მე მაინტერესებს, სად იქნება ჩემი ქვეყანა 2013-შიო.

ამის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა გვეკითხა, გახდება თუ არა სააკაშვილი 2013 წელს პრემიერ-მინისტრი? ანკი, ვისაც მისი ადგილმდებარეობა გვაიტერესებს 2013-ში, რა ვქნათ? თანაც, სწორედ ამაზეა დამოკიდებული ჩემი ქვეყნის მომავალი.

ერთი სიტყვით, მიხეილ სააკაშვილი კითხვებზე პასუხის არგაციმის დიდოსტატია და 25 იანვრის გადაცემის ფორმატში ჩაქირკიტების შანსი არ იყო. „ტელემოსტი“ მხოლოდ პასუხებზე „ფსიქოლოგიური“ დაკვირვების საშუალებას იძლევა. აი, ხომ გახსოვთ „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა არგუმენტი: რას ამბობ, აღარ გახსოვს, „კერასინკაზე“ რომ თბებოდი, შუქი არ გქონდა, ჩამჩით და „ტაშტით“ ბანაობდი!.. სააკაშვილი ფასების ზრდასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, ხან კუპონების ეპოქას და პურის რიგებს იხსენებს, ხან სრულ ინფლაციას და ამბობს, რომ დღეს ეს აღარ არის. შემდეგ ჩინეთს გადასწვდება. კონკრეტულ პასუხს კი არ იძლევა. ერთი სი-

ტყვი, მეც 2 საათი და 40 წუთი რომ არ გავაგრძელო, დავასრულებ ამ კითხვებსა და პასუხებზე საუბარს.

მნიშვნელოვანი დეტალები:

1. როდესაც ვუყურებდი ჩართვებს ქუჩიდან, ქარხნიდან, მესტიიდან თუ ბათუმიდან კიდევ ერთხელ დავინახე, რომ არამხოლოდ ამ გადაცემის ფორმატი, არამედ ქართველი ხალხიც ისევ საბჭოთა მენტალობის მატარებელია. ისევ მადლობები „გენერალურ მდივანს“ და უხერხული რევერანსები.

2. გადაცემის რეჟისორმა კარგად იმუშავა. საოცრად შთამბეჭდავი იყო პრეზიდენტის სიტყვების პარალელურად, უკან, დიდ ეკრანზე გასული, შენების კადრები.

3. ახალი ტელესახე – კანია. 25 იანვარს პირველად გავიდა ეთერში ახალი კავკასიური არხი „პიკ“. ამ არხის ახალი სახე იქნება კანია, რომელიც პრეზიდენტს ვახო სანაიასთან ერთად კითხვებს უსვამდა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კანიას საოცრად მომნიშვნელოვანი ღიმილი აქვს. 2 საათისა და 40 წუთის განმავლობაში, ის პრაქტიკულად უწყვეტად, პირდაპირ თვალელებში და საოცარი გულწრფელობით უღიმოდა საქართველოს პრეზიდენტს.

4. ჩართვები ბათუმიდან, მესტიიდან და მისაქციელიდან. როგორ არ მინდა, სიმულაცია ვუნოდო იმ ბედნიერებას, რომელიც იმ დღეს ამ სოფლებიდან ჩანდა, მაგრამ რატომ არავის მოაფიქრდა, თუნდაც მოჩვენებითი სინამდვილისათვის იმ ადამიანების მოსმენაც, რომელნიც ისეთ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც აღმშენებლობა ჯერ არ დაწყებულია?!

5. ძალიან მოკლედ და ერთი სიტყვით – რა სამწუხაროა, რომ სტუდენტები ისევ საბჭოთა კომკავშირელებს გვანან.

6. 25 იანვარს ცხადად გამოჩნდა, რომ ერთადერთი ნათელი წერტილი, ერთ-ერთი სტუდია და იქ მყოფი რამდენიმე ჟურნალისტი იყო. პირველ რიგში, დავით პაიჭაძის მისალმება: „სალამო მშვიდობისა ქალბატონებო და ბატონებო, სალამო მშვიდობისა ბატონო პრეზიდენტო და გამარჯობა,

ვახო (სანაია).“ საკვირველია, მაგრამ ყურს გვჭრის, რომ ჯერ ქალბატონები და ბატონები არიან, შემდეგ კი პრეზიდენტი. გვიკვირს არა პაიჭაძისგან, არამედ...

ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვების უმრავლესობა იყო საქმიანი და პირდაპირი, მართალია, პასუხი არ მიუღიათ, მაგრამ სწორი კითხვის დასმაც საქმეა.

ამ სტუდიაში „ლირიკა“ მხოლოდ ტელეკომპანია „მანესტროს“ ჟურნალისტის კითხვა იყო, რომელმაც იური შევჩუკის პათოსის გამეორება სცადა და პრეზიდენტს ქვეყანაში გულწრფელი დემოკრატიისა და ლიბერალიზმის

რა მოვისმინეთ ახალი? რისთვის იყო საჭირო ეს გრანდიოზული ტელეშოუ? პრეზიდენტის რიტორიკაში, პასუხებსა თუ ნააზრევში არსობრივი სიახლე ნამდვილად არაფერია. ის როგორც წესი, კითხვებს პასუხს არ სცემს და სარეკლამო, „წინასაარჩევნო“ დისკურსს არ ღალატობს.

დანერგვის შესახებ ჰკითხა. აკვიატება არ გეგონოთ, მაგრამ შევჩუკი ჯერ არ ჰყავს საქართველოს.

7. თავად პრეზიდენტისგან გავიგეთ ომის ვეტერანთა აქციის დარბევის მიზეზი. ჰიგიენისა და მარადიული ცეცხლის მიდამოებში მოშარდვის პრობლემები დასახელდა. მონუმენტის დადგმას რომ მეომრის დაფასება და დაპურება სჯობს, ეს ერთი საკითხია, მაგრამ ამერიკული იდეოლოგიის კოპირებისას, სადაც ამერიკელი ჯარისკაცი იდეალიზირებულია, ამის უკან დაფასებული ვეტერანებიც არიან. ჩვენ კი,

უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ფეტიში შეგვიძლია.

8. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის უკანასკნელი პასუხი, რომელიც თურქეთთან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით მოლაპარაკებას შეეხება, იყო ღირსეული, არაპოპულარული, პრინციპული. პრეზიდენტის რიტორიკა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ ისევ უკომპრომისოა.

9. სამწუხაროა, რომ ჟურნალისტებს არ მისცეს საშუალება, დაესვათ კითხვა საქართველოსთვის და ქართული დემოკრატიისათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხზე. რა კარგი იქნებოდა, ეს ფაქტები და ზედ მიყოლებული კითხვა. „თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, 2010 წელს განხილული 7 296 სისხლის სამართლის საქმიდან, გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ სამი პირის მიმართ, ანუ საქმეთა 0.04%-ზე გამოიტანა. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, სასამართლო სისტემაში გამართლების შანსი 2007 წლიდან უცვლელად მხოლოდ 0.1%-ს შეადგენს. საქმეთა 99.99%-ში სასამართლო ბრალდებულებს დამნაშავედ ცნობს“. ნუთუ არავის აინტერესებს ამ სტატისტიკის მიზეზი?!

და ბოლოს, სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს – ისმის ხოლმე ასეთი ტიპის ბრალდება, რომ პოლიტიკურ მოვლენებს ხშირად ესთეტიკურ პლანში ვაფასებთ. როგორ შეიძლება, ეს უკანასკნელი ტელემოვლენა შეფასდეს, თუკი არაფერი ახალი, არაფერი საინტერესო არ ყოფილა? ვლადიმირ პუტინთან სამართლიანი ასოციაციური პარალელების გარდა, რა აზრი ჰქონდა ამ გრანდიოზულ ტელეშოუს? რა მისცა ხალხს ამ სანახაობამ? ილუზია იმის შესახებ, რომ დემოკრატია შენდება?! არა მგონია, მის შეფასებას აზრი ჰქონდეს, რადგან სწორედ ესთეტიკის პრობლემა დგას. იქნებ, უგემოვნო დემოკრატიის სიმულაციას, პირდაპირი და ხისტი ავტოკრატია სჯობდეს?! **■**

ქანი ნახსენიდან, ხევისოხი ანუოლან



როგორ მოვათვინიეროთ თანამედროვე დასავლური პიესა: რეჟისორ მაკა ნაცვლიშვილის „მოკლემეტრაჟიანი“ პასუხი რუსთაველის თეატრში

დავით ბუხრიკიძე



„ქალი ნარსულიდან“, რეჟ. მაკა ნაცვლიშვილი

ფოტო: ვიკტორია მარჯანიშვილი

გოეთეს ინსტიტუტმა თბილისში თანამედროვე გერმანული პიესების პროპაგანდა მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით როდი განიზრახა. ახალგაზრდა, მაგრამ დეპრესიული და სოციალური თემებით გამორჩეული გერმანელი დრამატურგის, მარიუს ფონ მაიენბურგის პიესა „მახინჯი“ (ქორეოგრაფიული იმპულსებით ანთებული რეჟისორის, დათა

თავადის ყველაზე საინტერესო დადგმა გასული წლის სეზონში სამეფო უზნის თეატრში) ერთგვარ ტესტირებას ჰგავდა: შეძლებდა თუ არა „კომედი კლავისა“ და „შაბათის შოუს“ მსუბუქად უხამსი გამოცდილების შემდეგ, დაახლოებით იგივე პუბლიკა სოციალურ თუ ფსიქოანალიტიკურ რელსებზე უმტკივნეულოდ გადასვლას?! თანაც თითქმის დაინყე-

ბული თანამედროვე დასავლური დრამის დახმარებითა და გათვალისწინებით.

დაახლოებით იგივე შინაარსის შეკითხვა (თუნდაც რიტორიკული) შეიძლება, დავსვათ გერმანიაში ერთობ პოპულარული დრამატურგის, როლანდ შიმელპფენიგის პიესის „ქალი ნარსულიდან“ ინტერპრეტაციის შესახებ. რეჟისორმა მაკა ნაცვლიშვილმა რუსთაველის თეა-

ტრის მცირე თეატრის სცენაზე ორჯერ გადაღებული და „დათარსული“ პრემიერა, როგორც იქნა, იანვარში სრულყოფილ ნაწარმოებად აქცია. ჯერ იყო და, სპექტაკლი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა მოულოდნელად დატოვა, მერე რომის როლის შემსრულებელმა, ნანუკა ხუსკივაძემ ხელი მოიტეხა...

მოკლედ, ახალგაზრდა და უკვე ნახალისებული რეჟისორის, გოეთეს ინსტიტუტისა და ამ პიესების მთარგმნელის, მაია ფალავანდიშვილის ძალისხმევას რაღაც უიღბლობა თუ ფატალიზმი თან სდევდა. და აი, მრავალტანჯული პრემიერაც!

ვერ გეტყვი, რა რეაქცია ექნებოდა ჰამბურგის „დოიჩე შუშპილჰაუზის“ 39 წლის გერმანელ დრამატურგს (ჩვენებურად „ლიტერატურული ნაწილის გამგე“) ამ ყოველივეზე: კარგად მოფიქრებული მიზანსცენები, კონტრაქტური განათება, ზომავი მეტად გამოყენებული „ჩრდილების თეატრის“ ეფექტი (მხატვარი და სცენოგრაფი ნუცა ჭყონია), დამინტრიგებელი საუნდტრეკი (შეიძლება, სიტყვა „უცნაურიც“ გვეხმარა), დიალოგების დეკონსტრუქციის უნარი და ბოლოს, სასპენსთან უცნაურად დამეგობრებული სექსუალური და კომედიურად დადგმული ძალადობის ამსახველი სცენები რომ ენახა... მაგრამ საკმაოდ დიდი შემცირებული ტექსტისა და პიესის დამახინჯებული კონტექსტის გამო, აღფრთოვანებული ნამდვილად არ დარჩებოდა. თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მისი პიესები სრულიად განსხვავებულად იდგმება. ზოგჯერ ტექსტისადმი სრული მონივნებით, ზოგჯერ კი დასახინჯებულადაც კი.

არცთუ ახალგაზრდა წყვილის, ფრანკისა (ზურაბ ინგოროყვა) და კლაუდიას (ნინო თარხან-მოურავი) მტკივნეული პოლიტიკური ნარსულის (ისინი „შტაზის“ ყოფილი თანამშრომლები არიან) შესახებ სპექტაკლიდან ვერაფერს შეიტყობთ, მაშინ, როცა პიესაში ეს მოტივი ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შესახებ თავად მათი ვაჟის, ანდის (სანდრო მიუჩუჩაძე) ვრცელი მონოლოგი გვამცნობს, რომელიც ცხადია, სპექტაკლში აღარ

დარჩა. შემოკლებამ თუ კონკრეტულად 60-წუთიანი სპექტაკლის მეტრაჟმა „იმსხვერპლა“ რამდენიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟიც. კერძოდ, ანდის მეგობრები, რომლებიც „გრაფიტი“ და თანამედროვე ელექტრონული მუსიკით არიან გატაცებულნი. თუმცა ეს შემოკლება ნაკლებად მნიშვნელოვანია და არ აისახება რეჟისორის ჩანაფიქრზე.

ფრანკისა და კლაუდიას 24-წლიან ოჯახურ იდილიას ნარსულის „აჩრდილი“ არღვევს. ეს არის რომი ფოტოგენდერი (საკმაოდ ექსტრაგავანტული და სექსუალური იმიჯის მქონე ნანუკა ხუსკივაძე), რომელიც ოდესღაც მარადიული გრძნობით იყო დაკავშირებული ფრანკთან.


■ **მონდომების შემთხვევაში, რეჟისორმა ყველაზე იდუმალი და დიდი ხნით ჩარაზული კარიც შეიძლება გააღოს. მთავარია დროის ზუსტი შეგრძნება, სწორი სოციალური გათვლა და თანამედროვე თეატრს მორგებული ესთეტიკური გასაღები.**

ასე რომ, ნარსულის იდუმალი ხმები თუ უცნაური კაკუნი კარზე მხოლოდ მეტაფორა არ არის; ეს ახალგაზრდული თავქარიანობისა თუ საბედისწერო ვნებისა და შეცდომების გამო დაშვებულ განაჩენს უფრო ჰგავს. რაც ცხოვრებაში წესრიგისა და ოჯახური სიმყუდროვის დანგრევას ნიშნავს, დრამატურგის ენაზე – ბედისწერის არქეტაპულობას ნიშნავს. ამიტომ, რომი მეფისტოფელივით დაუნდობელია და ოდესღაც დადებული მარადიული სასიყვარულო ფიცისა და პირობის შეუსრულებლობის გამო სჯის ფრანკს; ანუ თან მიჰყავს მარადიულ ნარსულში...

სხვათა შორის, მეოცე საუკუნის დრამატურგია სავსეა ამგვარი „დაგვიანებული შურისძიებებით“. მაგალითად, კლარა ცახანასიანი დიურემანტის პიესიდან „მოხუცი ქალის ვიზიტი“ არა მარტო ოდესღაც საყვარელ მამაკაცს სჯის, არამედ მთელ ქალაქს; შეგვიძლია, ჰაროლდ პინტერის „ოთახისა“ და მორის მეტერლინკის „ბრმების“ შურისმაძიებელი ქალებიც გავიხსენოთ. ამგვარი მრავალნაწიდი კლასიკური სქემიდან გამოსავლის ძიება რეჟისორისათვის ერთგვარი გამოცდაა. ის შეიძლება ტიპურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პიესაში, არცთუ მხიარულ ეგზისტენციურ ძიებებში, ან უკვე ყელში ამოსულ აფსურდშიც მოიძებნოს.

მონდომების შემთხვევაში, რეჟისორმა ყველაზე იდუმალი და დიდი ხნით ჩარაზული კარიც შეიძლება გააღოს. მთავარია დროის ზუსტი შეგრძნება, სწორი სოციალური გათვლა და თანამედროვე თეატრს მორგებული ესთეტიკური გასაღები. მცირემეტრაჟიანი, კარგი მსახიობებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია ნანუკა ხუსკივაძის საგრძნობი თვითირონია „საბედისწერო ქალის“ განსახიერებისას), ეფექტურად მონოდებული და „ხმაურებით“ გაძედილი და „მოსასმენი“ სანახაობა ამისათვის საჭირო, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

როლანდ შიმელბუფენიგის საკმაოდ რთული, დამაბნეველი და ნარსულისადმი არცთუ ნატიფი ირონიით გამორჩეული ტექსტის მიხედვით, მაკა ნაცვლიშვილს გამოცდა ურიგოდ არ ჩაუბარებია. თუმცა, იმისათვის, რომ „სტურუას ერთ-ერთი საუკეთესო სტაჟიორის“ ან თეატრალურ წრეებში „მარია კნებელის“ მეტსახელი გერქვას, ესთეტიკურად უფრო თავხედი, ან, თუ გნებავთ, სოციალურ-პოლიტიკურად უფრო გაბედული უნდა იყო.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში სტურუას „ვახშობის წინ“ და „სეილემის პროცესი“ სწორედ ასეთი იყო. პარალელები შესაძლოა, სრულიად უადგილოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ნებისმიერი გაბედული და ნიჭიერი რეჟისორისათვის არსებითი სწორედ თანამედროვეობაში არსებობაა. თუნდაც ამაში „ქალი ნარსულიდან“ ხელის შემშლელი პირობა იყოს. 

ქაღები და ნამყვანები



გიო ახვლედიანი

წინა კვირის მთავარი ამბავი ის იყო, რომ რუდ გულიტი გროზნოს „ტერეკის“ მწვრთნელად ინიშნებო.

ეს ინგლისურ ფეხბურთს დიდად არ ეხება, რახან გულიტი ჰოლანდიელია, მაგრამ ინგლისელებმა ეგრე იციან, რომ თუკი ვინმე სახელგანთქმულს ინგლისში გაუვლია, ან ინგლისს შეეხებია, იმის შესახებ მსჯელობას არ დაიზარებენ.

გულიტი კი ოდესღაც პრემიერ-ლიგაშიც კი თამაშობდა და „ჩელსისა“ და „ნიუკასლსაც“ წვრთნიდა, ბოლო ორ წელიწადს კი „სკაი-სპორტზე“ ჩემპიონთა ლიგის მიმომხილველად მუშაობდა. ასე რომ, ინგლისთან კონტაქტი არასდროს გაუწყვეტია.

ის დიდებული ფეხბურთელი იყო, დიდი ვერაფერიშვილი მწვრთნელი, ფეხბურთზე ლაპარაკისას კი მის სმენას ბევრი არაფერი სჯობს. ძალიან საინტერესო მოსაუბრეა და რაღა თქმა უნდა, მთელ თამაშს ხელისგულზე დაგიდებს ხოლმე სულ უბრალო სიტყვებით.

მისი გროზნოში წასვლა, მოულოდნელი იყო. გაზეთმა „ინდეპენდენტმა“ ამ ნაბიჯს მსოფლიოს ყველაზე ცუდი საფეხბურთო ტრანსფერიც კი უწოდა, და მიაყოლა, ნელსონ მანდელასთან დამეგობრებულ კაცს, ალბათ, საფულემ დაქაჩაო.

რამზან კადიროვს კი უთქვამს, მისი მეშვეობით „ტერეკი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, სწორედ ამას ველითო.

კონტრაქტი წელიწადნახევრიანია, გულიტი საკმაოდ კონფლიქტური კაცია, ვარსკვლავის სრული თვითრწმენით, თუმცა ისიც ნამდვილია, რომ მონინავე ჰოლანდიელი მწვრთნელები რუსეთში დიდი სურვილით მიდიან და წარმატებითაც მუშაობენ. გუს ჰიდნკმა რუსეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონ-

ნატზე კი ვერ გაიყვანა, მაგრამ...

გულიტი კი არ არის მონინავე ჰოლანდიელი მწვრთნელი, ოდესღაც ინგლისში მწვრთნელობისას მან ეროტიკული ფეხბურთის კონცეფცია გამოაცხადა, რაზეც სასაცილოდ აიგდეს. მოკლედ,



რუდ გულიტი

ბევრი ასეთი ამბავი იყო მის კარიერაში. გულიტს მაღალი თვითშეფასება აქვს.

საინტერესო კია მისი ტერეკის სათავეში ყოფნა. რას მოითხოვს, რას გააკეთებს, რას დათმობს. ცხადია, პირდაპირ რამზან კადიროვთან ექნება საქმე.

რამზანს უნდა, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ ქალაქად გროზნოც იყოს.

ცოტა ხნით ადრე გროზნოში ესპანელი მწვრთნელი ვიქტორ მუნისი იყო ჩასული, ოღონდ უკან უსიტყვოდ გამობრუნდა. ჩეჩნებმა თქვეს, კონტრაქტში ცვლილებები მოითხოვა, რაც ვერ გავიზიარეთო.

ეგ იქით იყო, „სკაი-სპორტი“ ისედაც

ვასხენე და მისი ორი ყველაზე ცნობილი და ძირძველი საფეხბურთო ნამყვანი ენდი გრეი და რიჩარდ კეისი დიდ შარში გაეხვენენ.

ვულფ-ლივერპულის თამაშის წინ, ეგონათ რა, რომ მიკროფონები გამართული იყო, გულახდილად წაისაუბრეს ქალთა მსაჯობის თავისებურებების შესახებ. ეს მოკლე დიალოგი იმას მოჰყვა, რომ ლაინსმენად იმ დღეს 26 წლის გოგო სიან მესი იყო.

რა თქმა უნდა, ამბავი ატყდა: სექსიზმიო და ასე შემდეგ. ვინ რა თქვა, ბევრ ადგილს დაიჭერს, საქმეში „ვესტ ჰემის“ თავმჯდომარე კარენ ბრედიც გაერია, რომელიც სწორედ წინა დღეებში სწორედ ფეხბურთში სექსიზმის შესახებ ლაპარაკობდა და კეისმა ისიც გააქილიკა.

საზოგადო მრისხანება დიდი იყო. „ტვიტერი“ ლამის აფეთქდა. „სკაის“ უფროსობამ დიალოგს „მიუტევებელი“ უწოდა. არხმა მომდევნო თამაშზე ეთერში აღარ მიუშვა ნამყვანები. ამ უქმეებისთვის კი გრეი საერთოდაც მოხსნეს. კეისმა ბოდიშები მოიხადა.

18 წელია, ეს ორი კაცი ფეხბურთს უძღვებოდა „სკაიზე“ და შაბათ-კვირას მთელი ინგლისის ეკრანებზე მათი ყოფნა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ლონდონ პრაიდის ონკანი პაბში.

დიალოგის ნაწყვეტი ასე გამოიყურება:

კეისი: კარგი იქნებოდა ვინმე ჩავიდეს დაბლა და თამაშგარეს წესი აუხსნას (მესის).

გრეი: ქალებმა არ იციან თამაშგარეს წესი.

ჰოდა, ასეთი ამბებია, გულიტი – გროზნოში, გრეი – სახლში. ქალები კი კარგი მსაჯები არიან. ■

მხოლოდ ბებოს მანქანით



ლაშა ბულაძე, მწერალი

გული დამითუთქა ერთი ქართველი ბავშვის ამბავმა. მინდა, რაიმეთი ვუშველო, მაგრამ, ვეჭვობ, ჩემმა დახმარებამ დააკმაყოფილოს...

საქმე ისაა, რომ ეს ბავშვი მისმა მშობლებმა თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში შეიყვანეს, იქ კი უმეტესად ეროვნულ-ბურჟუაზიული ოჯახების ჩამომავალნი სწავლობენ; შესაბამისად, იქაურ მოსწავლეთა ენერჯის დიდი ნაწილი არა სწავლა-განათლებაზე, არამედ ბურჟუაზიულ შეჯიბრზე იხარჯება – მოსწავლეებს სახლებიდან ყოველდღიურად მოაქვთ ახალ-ახალი ნივთები და როგორც წესია, მეტად გამაღიზიანებლად ახარბებენ ერთმანეთს: „აი, ბაბუამ რა მიყიდა“, „აი, დედამ რა მაჩუქა“, „აი, მე რა მაქვს“.

რითი აღარ მოდიან ბავშვები! ახალ-ახალი ტანსაცმლით (ზოგიერთი, შეიძლება, სკოლაში არც გამოცხადდეს, თუკი „ერთხელ უკვე ჩაცმულით“ დაუპირებენ მოყვანას), ახალი ტელეფონებით, კომპიუტერებითა და ა. შ. ცხადია, მიდის დიდი პრანჭვა, დიდი შეხარბ-შემოხარბება და, როგორც სულხან-საბა იტყოდა, უსპეტაკესი მარიაჟი. თუმცა, ბუნებრივია, ამ შეჯიბრს თან ახლავს ნერვიულობაც – ნორჩებს უკვე ტვინი უდუღდებთ იმაზე ფიქრითა და დარდით, კიდევ რითილა გაიბრწყინონ მომდევნო გაკვეთილებზე...

ჩვენი სვეტის გმირი ბავშვიც მხოლოდ იმაზე შიშობს, როგორმე თანაკლასელებს არ ჩამორჩეს და ამ სასტიკი თამაშიდან არ გამოვარდეს! ბავშვს, თურმე, ნაადრევი ნევროზის სიმპტომები აღენიშნება. ამ ახალწლეულზე კი ტირილით მობრუნებულა სკოლიდან და სასონარკვეთილს ულულუღღღ: „თოვლის ბაბუამ ჩემ კლასელებს აიპედები მოუტანა... მეც მი-ინდა... მეც მომი-ტანოს... ვერ გამოვჩნდები უმაგისოდ სკოლაში!“ კიდევ კარგი, ძველით ახალი წელი იყო წინ და შეჯიბრში ბავშვზე არანაკლები აზარტით ჩართულმა მშობლებმა თოვლის ბაბუას, როგორც იტყვიან, სულ ცემა-ცემით მოატანინეს სკოლაში საჩვენებელი აიპედი.

მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ჩვენს პატარა გმირს ტირილით გაღვიძებია დილის სამ საათზე. ხურდა, ოფლი სდიოდა და ციებ-ცხელებიანივით ბოდავდა: „დედამ თავისი მანქანით არ გამომიაროს სკოლაში... ბებოს იქს-პიატით მოვიდეს... ბებოს თხოვოს იქს-პიატი... თავისი პეჟოთი



არ მომაკითხოს...“ ძლივს დაუმშვიდებიათ ბავშვი, დედას პირობა მიუცია – რომ მოვეკდე, სკოლაში „პეჟოთი“ არ გამოგივლიო. თუმცა ბავშვს, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც გაუზომეს სიცხე და დიდად გაიკვირვეს, როცა წითელი ხაზი 38-ზე შეჩერდა. საბრალო, თურმე, მთელი კვირა ბოდავდა და როგორც კი თვალეში გამოიხედა, მაშინვე ბებოს „იქს-პიატი“ მოიკითხა. ცხადია, სკოლაშიც მის მიერ მოთხოვნილი მანქანით მიიყვანეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს მისი გული – „მშობლების მაგარი მანქანებით მოსვლა“ ჯერ კიდევ წინა კვირას გადასულიყო სასკოლო შეჯიბრების მოდიდან (სწორედ იმ კვირას, როცა სიცხიანი ბავშვი ლოგინში ინვა), მოსწავლეები კი მომდევნო საფეხურზე გადასულიყვნენ. ასე რომ, ჩვენი გმირი „ერთი კვირით“ ჩამორჩა „ევოლუციის“ შეუქცევად პროცესს“.

რა ხმით ტიროდა იმ დღეს ეს ბავშვი, ამას აღარ მოგიყვებით და არც იმის შესახებ გაიამბობთ, როგორ აენია წნევა „იქს-პიატის“ მფლობელ ბებიას. მხოლოდ იმასლა მოგახსენებთ, რომ დღევანდელი დღის მონაცემებით, ეს ოჯახი დიდი წვალეებით ცდილობს ძველებური სიჩქარის აკრეფას, ქართული სკოლა კი (როგორც კერძო, ასევე საჯარო) – ცოდნის ახალი მწვერვალების დაპყრობას...

ჩვენს სკოლებში, როგორც ყოველთვის, ყველაფერი რიგზეა. ყველაფერი თავის ადგილზეა.



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი
გორი, ქარალი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუბდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

